ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba



გვ.4

## ნინო კალანდაძე: „ივანიშვილს ხელისუფლებაში მესამე ვადით დარჩენის შანსი არ აქვს“

**6 აპრილიდან**

საბავშვო ბიბლია

ფასი გაზეთთან ერთად 24 ლარი




ხუთშაბათი, 6 აპრილი, 2017 №81 (7316) ფასი: 50 თეთრი

# მამა გიორგი მამალაძემ შიმშილობა დაიწყო

## იგი სინოდის წევრებთან შეხვედრას ითხოვს



გვ.2

## მიხეილ რამიშვილი: „პროკურატურა ჩიხშია შესული“



## „სამარცხვინო ნარმანიას სირცხვილის დერეფანში გავატარებთ“



გვ.3



„მინდა იცოდეს ხელისუფლებამ, ყველა მეთოდს მივმართავთ იმისთვის, რომ გარევაჭრობა აღდგენილ იქნას, ოღონდ ცივილური სახით“

## პროვოკაცია თუ მანქანის გაუმართაობა

რა მოხდა გორის გზაზე




გვ.5

„მანქანა მიყენია კორპუსის ეზოში. ეზოში კამერები არ არის და, შესაბამისად, ძალიან ძნელია იმის მტკიცება, რომ ჩემი მანქანა შეგნებულად დააზიანეს“



## რა კავშირი აქვს სანკტ-პეტერბურგის ტერაქტს კავკასიასთან



გვ.5

რუსეთში მოქალაქეების უფლებების შეზღუდვას ვარაუდობენ

ISSN 1987-9385

## ლევან ალაფიშვილი: „პარლამენტში საგანგაშო არაფერი ხდება“

გვ.4



2017, 6 აპრილი, №81

# მამა გიორგი მამალაძემ შიმშილობა დაიწყო

## იგი სინოდის წევრებთან შეხვედრას ითხოვს

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ გადაიდო ციანიდის საქმის განხილვა, რა საჩივრით მიმართეს ადვოკატებმა პროკურატურას, რატომ ვერ მოხერხდა სინოდის წევრების გამოკითხვა, როგორია დეკანოზ გიორგი მამალაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა, – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ადვოკატი მიხეილ რამიშვილი ესაუბრება.**



## მიხეილ რამიშვილი: „პროკურატურა ჩიხშია შესული“



***– მამა გიორგი მამალაძემ შიმშილობა დაიწყო. რას ითხოვს ის?***

– მამა გიორგი მამალაძემ შიმშილობა 4 აპრილს დაიწყო. მის მოსანახულებლად 5 აპრილს ვიყავი. ის პატრიარქთან და სინოდის წევრებთან შეხვედრას ითხოვს. მართალია, მამა გიორგი ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ არის, მაგრამ მე მისი მდგომარეობა არ მომეწონა.

***– ცუდად იყო მამა გიორგი?***

– მე ექიმი არა ვარ და ზუსტად ვერ გეტყვით, როგორია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ შიმშილობა აბსოლუტურად ჯანმრთელი ადამიანისთვისაც ძნელი გადასატანია, მამა გიორგის კი საკმაოდ მძიმე ოპერაცია აქვს გადატანილი გულის არეში. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სახარბიელო არც დაკავების მომენტში ყოფილა. შიმშილობა მისთვის მძიმე იქნება, მაგრამ მას ამის უფლება აქვს.

***– თქვენი აზრით, შეხვდებიან მას სინოდის წევრები?***

– ვერ გეტყვით, ამას დრო გვაჩვენებს. თავიდან მას რამდენიმე ეპისკოპოსი შეხვდა. იმაზეც კი იყო საუბარი, რომ პატრიარქიც კი აპირებდა მის მონახულებას. შემდეგ მათთან მივიდნენ საგამოძიებო უწყების წარმომადგენლები და რეკომენდაცია მისცეს, რომ სახელმწიფოს უსაფრთხოებიდან გამომდინარე, არ მისულიყვნენ მამა გიორგისთან.

***– სინოდის წევრები ვახსენეთ და რატომ არ მოგცათ სასამართლომ მათი გამოკითხვის უფლება?***

– ვერ გეტყვით. ჩვენ ამაზე ორმა ინსტანციამ გვითხრა უარი. არადა ეს საქმისთვის აუცილებელია. მათი გამოკითხვა სიმართლის დასადგენად იყო საჭირო.

***– სინოდის რამდენიმე წევრი შეურაცხყოფილიც კი დარჩა იმის გამო, რომ თქვენ მათი გამოკითხვა მოითხოვეთ. ამაზე რას იტყვით?***

– ამაზე მე ვერაფერს გიპასუხებთ. ჩვენ მხოლოდ სიმართლის დადგენა და მამა გიორგის უდანაშაულობის დამტკიცება გვინდა.

***– ციანიდის საქმის განხილვა 5 აპრილს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ პროკურატურამ დამატებით ერთი თვე ითხოვა კიდევ. ამაზე რას იტყვით?***

– პროკურატურა ჩიხშია შესული. მას არ გააჩნია სათანადო მტკიცებულებები. ეტყობა, ფიქრობენ, რომ ამ ერთ თვეში რაღაცას იპოვიან, რაც ვითარებას შეცვლის. ამის იმედი ტყუილად აქვთ, იმის პოვნა წარმოუდგენელია, რაც ბუნებაში არ არსებობს.

***– პროკურატურის წარმომადგენლები ამბობენ, რომ დღემდე არაა ის პიროვნება ნაპოვნი, ვისგანაც მამა გიორგიმ ციანიდი შეიძინა.***

– ამ პიროვნებას ვერც ვერასოდეს იპოვიან, რადგან ციანიდის შეძენა არ მომხდარა. იმ დროს, როცა, პროკურატურის მტკიცებით, მამა გიორგიმ ციანიდი შეიძინა, მასზე მეთვალყურეობა იყო დაწესებული. მას ვიღაცისგან რომ შეეძინა ციანიდი, ის პირი აქამდე უკვე დადგენილი და დაკავებული იქნებოდა.

***– ამ საქმეში თუ არის რაიმე სიახლე?***

– არის სიახლეები, რაზეც ახლა ვერ ვისაუბრებ. სხვა ადვოკატების მსგავსად, მე გაუთქმელობაზე ხელი არა მაქვს მოწერილი, მაგრამ ყველაფრის თქმას მაინც არ ვაპირებ. ყველაფერს თავისი დრო აქვს. როცა დრო დადგება, მაშინ ვიტყვი სათქმელს.

***– თქვენმა კოლეგებმა, რომლებიც ასევე მამა გიორგის იცავენ, პროკურატურაში საჩივარი შეიტანეს. ისინი ჩივიან, რომ მხარეთა თანასწორობის პრინციპი დარღვეულია.***

– როგორც უკვე გითხარით, მე გაუთქმელობაზე ხელი არ მაქვს მოწერილი, მაგრამ ჩემმა კოლეგებმა მოაწერეს ხელი და ეს სერიოზულ პრობლემებს გვიქმნის.

ჩემი კოლეგები მთელი ამ ხნის განმავლობაში მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევის შედეგად ჩვენი უფლებების აღდგენას ითხოვდნენ.

ჩვენ ვითხოვდით, მოგვცემოდა სრული შესაძლებლობა, რომ ყოველმხრივ მომხდარიყო მამა გიორგი მამალაძის უფლებების დაცვა, რისი შესაძლებლობაც ამ დრომდე ნამდვილად არ გვეძლევა. არის მხარეთა თანასწორობის პრინციპი დარღვეული, რაც კომპლექსურად იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ მხარეთა შეჯიბრებითობა და თანასწორობა ვერ ხორციელდება და ყოველმხრივ მისი დარღვევა ხდება.

ჩემმა კოლეგებმა ამის თაობაზე რამდენიმე კვირის წინ შეიტანეს პროკურატურაში განცხადება, საიდანაც უარი მოვიდა. ახლა მათ გადაწყვეტილებას ვასაჩივრებთ.

***– თუ პროკურატურიდან ისევ უარი მიიღეთ, მაშინ რას იზამთ?***

– კანონით პასუხი 3 დღეში უნდა მივიღოთ. პროკურატურა თუ ისევ უარს იტყვის, მაშინ ჩვენ სტრასბურის სასამართლოს მივმართავთ.

◆ ◆ ◆

საპატრიარქოში დეკანოზ გიორგი მამალაძის გადაწყვეტილება უარყოფითად შეაფასეს. დეკანოზი გიორგი თევდორაშვილის თქმით, ეს სასულიერო პირისგან არასწორი ქმედებაა, რადგან სასულიერო პირები არ შიმშილობენ.

მან ინტერპრესნიუსთან საუბარში განაცხადა, რომ სინოდის წევრებთან და პატრიარქთან შეხვედრა არანაირი პრობლემა არ არის.

– შეიძლება, რომ მისი მღვდელმთავარი, მეუფე დიმიტრი შევიდეს და მოინახულოს. ალბათ, თავად უნდა მოითხოვოს, – განაცხადა დეკანოზმა თევდორაშვილმა.

მამა გიორგის თქმით, როდესაც პატიმრები შიმშილობენ, მათ სასულიერო პირები მიმართავენ, რომ შიმშილობა არ შეიძლება, სასულიერო პირისგან შიმშილი კი ცოტა უცნაურია.



## გია ხუხაშვილი: „ჩემი და პრეზიდენტის პოზიცია ხშირად შეიძლება დაემთხვეს ერთმანეთს“

– მე ნამდვილად არ ვწერ პრეზიდენტის გამოსვლებს და ის, რომ რაღაცას შეიძლება მეც ისე ვფიქრობდე, როგორც პრეზიდენტი, ფუნდამენტური პრინციპებიდან გამომდინარეობს.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ექსპერტმა გია ხუხაშვილმა განუცხადა, რითაც გამოეხმაურა „ქართული ოცნების“ დეპუტატის, ლევან კობერიძის შეფასებას, რომ „გია ხუხაშვილი პირდაპირ თანამონაწილეა იმ გამოსვლის, რასაც პრეზიდენტი ამზადებს“.

როგორც გია ხუხაშვილმა განაცხადა, „შეთქმულებების თეორიები გადადის პარანოიაში“.

– საქმე ისაა, რომ აქ არ არის რაიმე დამთხვევითობაზე საუბარი – არის ფუნდამენტური პრინციპები, რომელიც შეიძლება დაემთხვეს იმიტომ, რომ პრინციპები არაა განსხვავებული. ლევან კობერიძისგან განსხვავებით, „ქართული ოცნების“ დაპირებების თანამონაწილე ვიყავი და პასუხისმგებლობასაც ვგრძნობ. თუ ხელისუფლება არ ასრულებს დაპირებებს, ბუნებრივია, ჩემი და პრეზიდენტის პოზიცია ხშირად შეიძლება დაემთხვეს ერთმანეთს.

თანამონაწილეობაში რა იგულისხმება, ვერ ვხვდები. პრეზიდენტთან მაქვს კომუნიკაცია და ჩემს აზრს ვეუბნები თუ არა? – კი, ბატონო, ვეუბნები.



ჩვენ გვაკავშირებს ადამიანური ურთიერთობები, მაგრამ მე მასთან არ ვმუშაობ. პრეზიდენტის პოზიციაზე ნებისმიერი ადამიანის, საზოგადოების წევრის მოსაზრებები შესაძლოა ახდენდეს გავლენას ან პირიქით, პრეზიდენტის მოსაზრებები ახდენდეს, მათ შორის ჩემზეც, რაღაც გავლენას, – განაცხადა გია ხუხაშვილმა.

ფრაქცია „ქართული ოცნების“ დეპუტატის, ლევან კობერიძის აზრით, ექსპერტი გია ხუხაშვილი პრეზიდენტის პარლამენტში ყოველწლიური ანგარიშით გამოსვლის თანამონაწილეა. ამის შესახებ კობერიძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა და როგორც აღნიშნა, აქტიური პროპაგანდა მიდის იმისა, რომ ამ დღეს პარლამენტში ტემპერატურა მაქსიმალურად იყოს აწეული.

– ცოტათი მაოცებს ზოგიერთი ექსპერტის ძალიან ღრმა ჩართულობა პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლის პროცესის განხილვაში იმდაგვარად, რომ პირდაპირ სცენარსაც კი წინასწარმეტყველებენ, თუ რაზე გამოვა პრეზიდენტი, რაზე ილაპარაკებს, როგორი იქნება დეტალები და ასე შემდეგ. როდესაც ამ ყველაფერს უსმენ, ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ ეს ადამიანი, კონკრეტულად გია ხუხაშვილი, ექსპერტი კი არ არის, პირდაპირ თანამონაწილეა იმ გამოსვლის, რასაც პრეზიდენტი ამზადებს. ასეთი მიდგომები ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო კითხვის ნიშნებს ბადებს. ეს არის ძალიან საინტერესო – აქტიური პროპაგანდა მიდის იმისა, რომ ამ დღეს პარლამენტში ტემპერატურა მაქსიმალურად იქნება აწეული. მინდა ყველას შევახსენო, რომ მათ შორის ასეთი სახის ექსპერტებსაც, რომელთა წინასწარმეტყველებები იშვიათად ხდება ხოლმე, საქართველოს პრეზიდენტის ფუნქცია არის დამბალანსებლის როლი საქართველოს პოლიტიკურ რეალობაში და არა ტემპერატურის აწევა და ისეთი თემების გამწვავება, რომელიც დღეს საქართველოში არ არსებობს, – განაცხადა კობერიძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

## ემზარ კვიციანი: „სამართლიანობის აღდგენას ნება სჭირდება“

– სამართლიანობის აღდგენას ნება სჭირდება და პროკურატურა ამ ნებას ელოდება, – ამის შესახებ ფრაქცია საქართველოს პატრიოტების წევრმა ემზარ კვიციანმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

როგორც ემზარ კვიციანმა აღნიშნა, 2017 წელს 24 თებერვალს სააპელაციო სასამართლომ ნორა კვიციანი გაამართლა და უდანაშაულოდ ცნო, ასევე გამართლდა ბევრი ადამიანი, მათ შორის გიორგი გვიჩიანი და კიდევ ბევრი გამართლდება, შესაბამისად, დეპუტატი მიიჩნევს, რომ ეს საკმარისი უნდა იყოს იმისთვის, რომ „შემთითხვნელი პროკურორების შეთითხნული საქმეები გადაისინჯოს“.

– იქნება რაღაც კანონი იქნას მიღებული, ან რაღაც გავაკეთოთ, რომ აღდგეს ეს სამართლიანობა ბოლოს და ბოლოს. გამართლდა ნორა კვიციანი, გამართლდება კიდევ უამრავი ადამიანი, ვინ უნდა მოახდინოს ამ ადამიანების კომპენსირება, სახელმწიფომ?! შერჩეთ მაგათ თავიანთი ნამოქმედარი, შერჩეთ ის მილიარდები, რაც საქართველოდან წაიღეს?! იქნება რამე ისეთი კანონი მივიღოთ, რომ მათ პასუხი აგონ, ვინც დააშავეს ამ ადამიანების წინაშე და ვინც ამდენი წელი სისხლში აცურავა ჩვენი ქვეყანა, – განაცხადა კვიციანმა.



მისივე თქმით, პროკურატურას უნდა მიეცეს საშუალება, რომ იმუშაოს.

– სამართლიანობის აღდგენას ნებას სჭირდება და აღდგება სამართლიანობა, პროკურატურა ამ ნებას ელოდება. ახალგაზრდა ბიჭები არიან, ძალიან მშვენივრად მუშაობენ და ძალიან სწრაფად ალადგენენ სამართლიანობას, რომ ჰქონდეთ ამის უფლება, ეს მთელმა საქართველომ იცის, – განაცხადა კვიციანმა.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „სამარცხვინო ნარმანიას სირცხვილის დერეფანში გავატარებთ“

შორენა მარსაგიშვილი

## რას გეგმავენ ლაშა ჩხარტიშვილი და გარემოვაჭრეები

**როდისთვის უნდა ელოდოს დედაქალაქის მერი სიურპრიზს, რამდენი ადამიანი დარჩა ლუკმაპურის გარეშე, რა არის გარევაჭრობასთან ბრძოლის ნამდვილი მიზეზი? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ დემოკრატიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი ლაშა ჩხარტიშვილი ესაუბრება.**

**ლაშა ჩხარტიშვილი:**

– სახეზე გვაქვს „ქართული ოცნების“ ქოცმოძრაობად გადაქცევის პროცესი. ივანიშვილი და მისი მარიონეტი დავით ნარმანია სააკაშვილისა და უგულავას გზას დაადგნენ. ქოცმოძრაობამ გადაწყვიტა, გარემოვაჭრეები სრულად განდევნოს თბილისიდან, რასაც თავისი მიზეზი აქვს და ეს არ არის დაკავშირებული ქალაქში არსებული პრობლემების მოგვარებასთან.

***– აბა რასთან არის კავშირში?***

– გარემოვაჭრეებს ქალაქიდან ერთი მიზეზით დევნიან – მალე თბილისში ახალი სავაჭრო ქსელები გამოჩნდება. გაძლიერდება კარფურის პოზიციები, კულუარული ინფორმაციით, ქალაქში ჯიხურების ახალი ქსელის ჩადგმაც იგეგმება. ამის გარდა, მოხდა ბაზრობებთან კორუფციული გარიგება.

ეს არის რეალური მიზეზი, თუ რატომ ებრძვიან გარევაჭრობას. სხვა შემთხვევაში სრულიად გაუგებარია, რატომ არ მიყვებიან იმ გზას, რომელიც გაიარა ევროპამ. რაც გარევაჭრობისთვის ცივილური სახის მიცემას ითვალისწინებს.

რამდენიმე ადგილას უკვე მოხდა გარემოვაჭრეების აყრა და დარბევა. ჩვენ ვცდილობთ, ამ ადამიანებს საკუთარი პროტესტის ორგანიზებაში დავეხმაროთ. ჩვენ უკვე დავიწყეთ აქციები, რომლებიც პერმანენტულ ხასიათს ატარებს.

***– სად ატარებთ ამ აქციებს?***

– 5 აპრილს დედაქალაქის მერიასთან გავმართეთ აქცია. 7 აპრილს აქცია პარლამენტის შენობასთან გაიმართება.



***– თბილისის თუ ქუთაისის პარლამენტთან?***

– თბილისის პარლამენტთან შევიკრიბებით. მოვუწოდებ ყველა გარემოვაჭრეს, ნუ დაელოდებიან, როდის დაარბევენ მათ, მოვიდნენ და ერთად გავაპროტესტოთ უკანონობა. მერიის უკანონო გადაწყვეტილებას მომავალ კვირაშიც გავაპროტესტებთ.

11 აპრილს დედაქალაქის საკრებულოში აპირებს დავით ნარმანია მისვლას. დილიდან შევიკრიბებით საკრებულოს შენობასთან და ისედაც სამარცხვინო მერს სირცხვილის დერეფანში გავატარებთ. ის მხოლოდ ამ გზით მოხვდება საკრებულოს შენობაში, სადაც ძალიან არ უნდოდა მისვლა.

მინდა იცოდეს ხელისუფლებამ, ყველა მეთოდს მივმართავთ იმისთვის, რომ გარევაჭრობა აღდგენილ იქნას, ოღონდ ცივილური სახით. ეს არის ერთადერთი გზა ათასობით ჩვენი თანამოქალაქის გადასარჩენად. არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებთ, რომ მათი ლუკმაპური ვიღაცამ გააერთიანოს და ტორტის სახით მიირთვას.

***– გარევაჭრობის თემაზე უკვე რამდენიმე კვირაა მიმდინარეობს ვნებათაღელვა. შეხვდა ვინმე მოვაჭრეებს ხელისუფლებიდან?***

– რაღაც მოლაპარაკებები იყო. თითქოს შეთავაზებაც მიიღეს ამ ადამიანებმა, მაგრამ ეს არ არის რეალური შეთავაზება.

***– არარეალურ შეთავაზებად ბაზრებში გადასვლას გულისხმობთ? ხელისუფლება ამბობს, რომ მოვაჭრეებს ასეთი გამოსავალი შესთავაზეს.***

– ეს არ არის გამოსავალი და ის არარეალურია. გარემოვაჭრეები მცირე რაოდენობის საქონლით ვაჭრობენ და მათთვის კომერციულ ბაზრებში ვაჭრობა ხელმისაწვდომი არ არის.

ერთადერთი გამოსავალი გარევაჭრობის მარეგულირებელი წესების დადგენაა, რაც ამ ადამიანებს ცივილიზებული ნორმებით ვაჭრობის შესაძლებლობებს მისცემს.

საქართველოში გარევაჭრობა კანონით აკრძალული არ არის. გარევაჭრობა ნებართვის გარეშე იკრძალება. ნებართვის წესი კი შეგნებულად არ არის დადგენილი, რათა ხელისუფლებას მანიპულირების საშუალება ჰქონდეს – საარჩევნოდ ნებართვას მისცემენ, როცა აღარ დასჭირდებათ მათი თავი, აყრიან და ულუკმაპუროდ დატოვებენ.

***–– რამდენი ადამიანია გარევაჭრობით თბილისში დაკავებული?***

– ამის ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს. ჯამში თბილისში ამ საქმიანობით რამდენიმე ათასი ადამიანია დაკავებული. ის ფაქტი, რომ ამ ადამიანების რაოდენობა აღრიცხული არაა, მიუთითებს ხელისუფლების დამოკიდებულებაზე.

მათი პრობლემების შესწავლაზე ხომ საერთოდ არავინ ფიქრობს. ნარმანიას და ივანიშვილს არც მათი ბედი ანაღვლებს და არც სხვა ჩვეულებრივი ადამიანების. მათი მიზანია, რაც შეიძლება მეტი ფული იშოვონ.



***– ხელისუფლების დამოკიდებულება გასაგებია, მაგრამ გარემოვაჭრეების მიმართ დიდ თანაგრძნობას არც ოპოზიცია და არასამთავრობო სექტორი იჩენენ. მე მათი მხრიდან არანაირი განცხადება არ მომისმენია ამ თემაზე, თქვენ რას იტყვით, იყო გამოხმაურება?***

– ამ ეტაპზე მხოლოდ ჩერნოვეცკიმ გააკეთა განცხადება. ის თავის დროზე კიევის მერი იყო და მაშინ ამ ქალაქშიც სერიოზულად იდგა გარევაჭრობის პრობლემა. ჩერნოვეცკი თავისი გამოცდილების გაზიარებას გვთავაზობს.

როგორც ის ამბობს, კიევში გარევაჭრობის პრობლემა მუნიციპალური ბაზრებით გადაიჭრა. ჩვენთანაც შეიძლება ამის გაკეთება – ამ ადამიანებს სავაჭროდ რაღაც ადგილები უნდა გამოუყონ.

***– წავა მერია ამ დათმობაზე?***

– ჩვენ ვიბრძოლებთ ამისთვის. აქციები უკვე დავიწყეთ და საქმეს ბოლომდე მივიყვანთ.

# ლევან ბერძენიშვილი: „მერობის კანდიდატები ქალაქთან არ ასოცირდებიან“

– დავით ნარმანიას რამდენიმე სუსტი გამოსვლა, მათ შორის „მაიმუნო-ვირიშვილო“ და ა.შ. მგონი, ისტორიულად ნიშნავს, რომ ნარმანია უკვე არაფერი აღარ იქნება.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ბერძენიშვილმა დედაქალაქის მერობის სავარაუდო კანდიდატების შეფასებისას განუცხადა.

როგორც ბერძენიშვილმა აღნიშნა, მმართველი გუნდი ნარმანიას თბილისის მერობის კანდიდატად არ დაასახელებს, იქიდან გამომდინარე, რომ ის არჩევნებში დამარცხდება.

რაც შეეხება სხვა კანდიდატებს, რომელთა შესახებაც ინფორმაცია მედიაში ვრცელდება, კერძოდ, კახა კალაძესა და დიმიტრი ქუმსიშვილს, ბერძენიშვილის შეფასებით, მათი შანსები „ქართული ოცნების“ რეიტინგიდან იქნება გამომდინარე.

– კახი კალაძეს, ქუმსიშვილს და სხვა კანდიდატებს იმდენად აქვთ წარმატების შანსი, რამდენადაც შეძლებს „ქართული ოცნება“ შეინარჩუნოს ლიდერობა. ჯერჯერობით მათი რეიტინგი ეცემა, მაგრამ არ ჩანს ვინმე ისეთიც, ვისიც ძალიან სერიოზულად იზრდება. არ გამოვრიცხავ, რომ დამოუკიდებელმა კანდიდატმა შეძლოს მეორე ტურში გასვლა, მათ შორის ალეკო ელისაშვილი შეიძლება იყოს ის კაცი, რომელიც გავა მეორე ტურში.

ნარმანიასნაირი კანდიდატი თუ ეყოლება „ქართულ ოცნებას,“ მაშინ 100%-ით შემიძლია გითხრათ, რომ იგი ვერ გაიმარჯვებს. არ მგონია მმართველი ძალა ამ საკითხში ვერ გაერკვეს და ვერ წარმოადგინოს ისეთი კანდიდატი, რომელიც ბრძოლისუნარიანი იქნება. ნარმანია წაგებული ვარიანტია და ამ სისულელეს „ქართული ოცნება“ ნამდვილად არ იზამს. ნარმანიას რამდენიმე სუსტი გამოსვლა, მათ შორის „მაიმუნო-ვირიშვილო“ და ა.შ. მგონი, ისტორიულად ნიშნავს, რომ ნარმანია უკვე არაფერი აღარ იქნება, – განაცხადა ბერძენიშვილმა.

რაც შეეხება სხვა პარტიებსა და მათ შესაძლო კანდიდატებს, ბერძენიშვილის თქმით, ნებისმიერი ადამიანის შანსების შეფასება ამჟამად რთული იქნება, სანამ არ დასახელდება კონკრეტული კანდიდატი და არ ჩატარდება რამდენიმე კვლევა მაინც.

– დასახელებული კანდიდატებიდან არც ერთი არ არის ისეთი, რომელიც ქალაქთან მყარად ასოცირდება. არ გამოვრიცხავ, რომ მათ ჰქონდეთ წარმატება, მაგრამ ამის მიღწევა ძალიან გაუჭირდებათ.



ნიკა მელია უკვე იყო და დაახლოებით იცის, რას მიაღწევს და მეც ვიცი, რას მიაღწევს. ელენე ხოშტარია ძალიან საინტერესოა, ოღონდ კვლევები ჯერ არ ჩატარებულა და როგორ უყურებს მას ქალაქი, ვერ გეტყვით.

რაც შეეხება ელისაშვილს, მასზე რაც ვთქვი, იმიტომ ვთქვი, რომ ჩვენ ვიცით დაახლოებით როგორ უყურებს მას ქალაქი – როგორც თავის გულშემატკივარს და არა როგორც დეპუტატს ან რომელიმე პოლიტიკური ძალის წარმომადგენელს. ეს მისი უპირატესობებია, – აღნიშნა ბერძენიშვილმა.

რაც შეეხება „რესპუბლიკურ პარტიას“ და მის გეგმებს, როგორც პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა აღნიშნა, „რესპუბლიკელები“ აუცილებლად მიიღებენ მონაწილეობას ადგილობრივ არჩევნებში, მაგრამ, ეყოლება თუ არა პარტიას მერობის კანდიდატი ან დაუჭერს თუ არა ვინმეს მხარს, ეს ჯერ გადაწყვეტილი არ არის. ბერძენიშვილი დედაქალაქის მერობის კანდიდატად ალეკო ელისაშვილის მხარდაჭერასაც არ გამორიცხავს.

ინტერპრესნიუსი

# რომან გოცირიძე: „წამლების ურეცეპტოდ გაცემის აკრძალვის პროექტი ჩავარდა“

რომან გოცირიძის განცხადებით, წამლების ურეცეპტოდ გაცემის აკრძალვის პროექტი ჩავარდა.



როგორც ოპოზიციონერმა დეპუტატმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა, ნებისმიერი ქალაქის ნებისმიერ აფთიაქში ნებისმიერი დასახელების წამლის ურეცეპტოდ ყიდვა შესაძლებელია. მისი თქმით, ეს იმიტომ მოხდა, რომ პროგრამა მოუმზადებელი იყო.

– ჩვენ გვაქვს მწარე გამოცდილება წამლების ურეცეპტოდ გაცემის აკრძალვასთან დაკავშირებით. ქუთაისში რაღაც წამალი ვიყიდე და არავითარი რეცეპტი არ დამჭირდა, ეს ასეა თბილისშიც. ეს პროგრამა ჩავარდა, ჩაფლავდა, რადგან ის მოუმზადებელი იყო, – განაცხადა გოცირიძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

აღნიშნული განცხადება გოცირიძემ სესიაზე თამბაქოს მოხმარების რეგულაციების მიმართულებით ინიცირებული საკანონმდებლო პროექტის განხილვისას გააკეთა. როგორც მან აღნიშნა, თამბაქოს მოხმარების აკრძალვის კუთხით შემუშავებულ ინიციატივებს მხარს უჭერს, მაგრამ კანონი, ამოქმედების შემდეგ, ფარატინა ქაღალდად არ უნდა გადაიქცეს.

# „სამთავრობო ვალის თვალსაზრისით, წელს გადავაჭარბეთ იმ მონაცემს, რაც შევარდნაძემ დატოვა 2003 წელს“



„ევროპული საქართველოს“ წევრის, ზურაბ ჭიაბერაშვილის ინფორმაციით, საგარეო ვალი მთლიან ეკონომიკასთან მიმართებაში 44%-ს შეადგენს. როგორც ჭიაბერაშვილმა დღევანდელ პლენარულ სხდომაზე განაცხადა, ეს მაჩვენებელი შევარდნაძის დროინდელ მაჩვენებელზე მაღალია.

– ხალხი ელოდება, როდის შეიძლება გამოსწორდეს ეკონომიკური მდგომარეობა. შემაშფოთებელი ფაქტია, რომ სამთავრობო ვალის თვალსაზრისით, წელს გადავაჭარბეთ იმ მონაცემს, რაც შევარდნაძემ დატოვა 2003 წელს. 2003 წელს მთლიანად ეკონომიკასთან მიმართებაში სამთავრობო ვალი იყო 43% და 2017 წელს ეს არის 44% ანუ მომავალ თაობებს, მოქალაქეებს მოუწევთ იმ ფულის გადახდა, რასაც დღეს თქვენ ბიუჯეტიდან უყაირათოდ ფლანგავთ, – განაცხადა ჭიაბერაშვილმა.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ნინო კალანდაძე: „ივანიშვილს ხელისუფლებაში მესამე ვადით დარჩენის შანსი არ აქვს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ნინო კალანდაძე პასუხობს.





***– ნინო, აირაის კვლევების თანახმად, ნაციონალური მოძრაობა კვლავ მთავარ ოპოზიციურ ძალად რჩება 15%-ით. ხელისუფლებას კი 26% აქვს და ის ამ კვლევებს უნდობლობას უცხადებს. როგორია თქვენი შეფასებები? ასახავს ეს კვლევები რეალობას?***

– მე არა მგონია, რომ რაიმე საფუძველი არსებობდეს, რომ ჩვენ ამ კვლევებს არ ვენდოთ. ცდომილება ყოველთვის არსებობს და ესეც უნდა გავითვალისწინოთ. მე არ მესმის, რის საფუძველზე უნდა გამოცხადდეს უნდობლობა.

***– ანუ ეს რეიტინგები რეალურია?***

– მეტ-ნაკლებად ეს რეალობის ამსახველი სურათია, იმის გათვალისწინებით, რომ ხელისუფლებას მართლაც უპრეცედენტოდ დაბალი მაჩვენებელი აქვს. ეს არის ის რეალობა, რომელიც არჩევნებამდეც ასე იყო, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმას, რომ ხელისუფლების მხრიდან უხეშად მოხდა არჩევნების გაყალბება, იმიტომ, რომ კონსტიტუციური უმრავლესობა საერთოდ არ არის ადეკვატურ შესაბამისობაში იმ სურათთან და იმ განწყობასთან, რომელიც სახელისუფლო პარტიის მიმართ ხელისუფლებას გააჩნია.

რაც შეეხება ნაციონალურ მოძრაობას, აშკარაა, რომ ის რჩება ერთადერთ ოპოზიციურ ძალად, რეალურ ალტერნატივად, რომელსაც მოსახლეობა განიხილავს, როგორც ხელისუფლების ალტერნატივას და როგორც ძალას, რომელსაც შეუძლია მისი პრობლემების მოგვარება.

***– ნაციონალებს შეუძლიათ არსებული პრობლემების მოგვარება?***

– რასაკვირველია. ჩამონათვალში სოციალური თემებია წინა პლანზე წამოწეული, ეს არის ის, რაც მოსახლეობას აღელვებს და სწორედ ამ ნაწილში, კითხვაზე, თუ ვის ენდობით, რომ ამ პრობლემებს მოგიგვარებთ, მოწინავე რიგებშია ნაციონალური მოძრაობა.

***– ხელისუფლების დაბალ რეიტინგზე საუბრობდით, რომელიც კვლევითაც დასტურდება. ეს რითაა განპირობებული?***

– ხელისუფლების დაბალი რეიტინგი მიანიშნებს იმაზე, რომ ხელისუფლება არ არის ქმედითი. ჩვენს ქვეყანაში მდგომარეობა მკვეთრად არის გაუარესებული, როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. ამიტომ მოსახლეობის დამოკიდებულება ამის პირდაპირი მაჩვენებელია. ასევე მოსახლეობა უკმაყოფილოა კრიმინალის ზრდით, უკმაყოფილოა იმ ნაბიჯებით, რომლებიც ტერიტორიული მთლიანობის მიმართულებით იდგმება. ჯამში ეს ყველაფერი ასახავს იმას, რომ მოსახლეობა უკმაყოფილოა ხელისუფლებით.

***– აცნობიერებს ამ სირთულეებს ხელისუფლება?***

– დღეს ბიძინა ივანიშვილი და მისი გუნდი ძალიან კარგად აცნობიერებს, რომ მესამე ვადით ხელისუფლებაში დარჩენის თეორიული პერსპექტივაც კი აღარ არსებობს და ყველა მხრივ მიმდინარეობს ძალაუფლების კონსოლიდაცია საკანონმდებლო დონეზე. ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლების შენარჩუნებას ეცდება ყველა გზით, განურჩევლად იმისა, მას მოსახლეობის მხარდაჭერა ექნება თუ არა!

***– გამოკითხულთა 92% პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევას უჭერს მხარს. რამდენად იქნება გათვალისწინებული მოსახლეობის დამოკიდებულება?***

– მე არ მრჩება შთაბეჭდილება, რომ ეს ხელისუფლება რამე ფორმით ითვალისწინებს მოსახლეობის დაკვეთას. დღეს ხელისუფლების მხრიდან ინსტიტუტების მიზანმიმართულ დაკნინებას აქვს ადგილი. განსაკუთრებით კი ბოლო არჩევნების შემდეგ, როდესაც გაიმყარეს კონსტიტუციური უმრავლესობა, რომელიც სწორედ იმისთვის შეიქმნა, რომ ყველა დამოუკიდებელი ინსტიტუტი ერთი ვერტიკალის ქვეშ მოექცეს.

ახლა საუბარია პრეზიდენტის ინსტიტუტზე, რომელსაც საკონსტიტუციო კომისია დაჩქარებული წესით იხილავს და ესეც გულისხმობს იმას, რომ ვიღაცა, გასაგებია ვინც, ძალიან ჩქარობს თავის კონტროლქვეშ მოაქციოს ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი და ყველა დამოუკიდებელი შტო, რომელიც შეიძლება მის კონტროლს არ ექვემდებარებოდეს. ასეთი არის პრეზიდენტის ინსტიტუტი, თუ ის რჩება დამოუკიდებელ არჩევით თანამდებობად.

***– პოლიტიკოსთა რეიტინგში გიორგი მარგველაშვილი ლიდერობს. ამაზე რას იტყოდით?***

– აქ უფრო ინსტიტუციონალური საკითხია არსებითი, ვიდრე პერსონალური მოწონების რეიტინგი. პერსონალური მოწონების რეიტინგი, როგორც წესი, პირდაპირ პროპორციული არ არის ელექტორალური განწყობის და ჩვენ ეს გვინახავს ალასანიას და უსუფაშვილის მაგალითზე.

***– რას გულისხმობთ ამ შემთხვევაში?***

– ისინი ყოველთვის ლიდერობდნენ, როგორც პერსონალური რეიტინგის მატარებელი ადამიანები, მაგრამ მათი პარტია ვერ ლახავდა ბარიერსაც კი. ამიტომ აქ პერსონალური მოწონების რეიტინგი იმდენად არსებითი არ არის, როდესაც არჩევნებზეა საუბარი.

დღეს საზოგადოების განწყობა ნათლად ასახავს იმას, რომ მას უნდა პრეზიდენტის ინსტიტუტი, როგორც ასეთი, დამოუკიდებლად შეინარჩუნოს და სწორედ ამისთვის უნდა პირდაპირი წესის შენარჩუნება და არა სრული საპარლამენტო მოდელი, რაც გულისხმობს იმას, რომ გაყალბებული არჩევნების შედეგად მიღებული კონსტიტუციური უმრავლესობა იმთავითვე თავის კონტროლირებად მარიონეტს დასვამს.

ამას გრძნობს მოსახლეობა და ამას ეწინააღმდეგება. კვლევაშიც სწორედ ეს განწყობებია ასახული.

***– ხედავთ იმის შანსს, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტის დამოუკიდებლობა შენარჩუნებულ იქნას?***

– ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად კრიტიკული იქნება საზოგადოება. ეს საკონსტიტუციო კომისია თუ უახლოეს მომავალში ამ საკითხის გადახედვით არ დაკავდება, მაშინ ეს კომისია ლეგიტიმაციასაც დაკარგავს. იმედი მაქვს, რომ ადეკვატური რეაქციაც ექნება ამ იდეის ავტორს. თუმცა ამის მოლოდინი ნაკლებია, რადგან ივანიშვილს გადაწყვეტილი აქვს, რომ ინსტიტუტები დააკნინოს და თავის კონტროლქვეშ მოაქციოს. მას საზოგადოების განწყობები ნაკლებად აინტერესებს. ის ხეების აქეთ-იქეთ ტარებითაა დაკავებული.

***– გასულ კვირას ვენეციის კომისიის წარმომადგენლები სტუმრობდნენ ჩვენს ქვეყანას, აღნიშნული თემით დაინტერესდნენ, თუმცა შენიშვნები არ გამოუთქვამთ.***

– მე ეს არ ვიცი. ვენეციის კომისიის დასკვნის მიხედვით, ისინი ცალსახად მოითხოვენ ამ ინსტიტუტის დამოუკიდებლობას და არ მიესალმებიან პრეზიდენტის არჩევითობის წესის გადახედვას. ვენეციის კომისია იძლევა რეკომენდაციებს, თუ რამდენად უფრო დემოკრატიულად შეიძლება იმართებოდეს ესა თუ ის სახელმწიფო და ამ პირობებში, როდესაც ოლიგარქიული მმართველობა მძვინვარებს, ცხადია, რომ ფორმალურად მაინც უნდა შენარჩუნდეს ინსტიტუტების დამოუკიდებლობა.

***– აირაის გამოკითხვაში მოხვდა გაზპრომის თემაც, გამოკითხულთა უმრავლესობა ახალ ხელშეკრულებას ნეგატიურად აფასებს. არის კიდევ სერიოზული კითხვები ამ თემაზე?***

– ცხადია, არის, იმიტომ, რომ ამ კითხვებს არასდროს პასუხი არ გასცემია. გაზპრომს საქმეში ჩახედული ყველა ადამიანი აღიქვამს დიდ საფრთხედ და ფაქტია ისიც, რომ ხელისუფლება აწარმოებს მოლაპარაკებას გაზპრომთან ყოველ ჯერზე ისე, რომ საზოგადოება არ არის ინფორმირებული დეტალების თაობაზე. უფრო მეტიც, საზოგადოება შემთხვევით იგებს ამის თაობაზე. შემდეგ კი ხელისუფლება თავს იმართლებს არადამაჯერებელი არგუმენტებით.

ამიტომ ყველა გრძნობს ამ საფრთხეს და იმას, რომ მისი ხელისუფლება არ არის გულწრფელი ამ საკითხთან მიმართებით. ეს საკითხი კვლავაც აქტუალური რჩება. როგორც ჩანს, რაღაც ტიპის ვალდებულებები აქვს ჩვენს ხელისუფლებას აღებული მეზობელ სახელმწიფოსთან, რომელთა ბოლომდე მიყვანასაც გეგმავს.

# ლევან ალაფიშვილი: „პარლამენტში საგანგაშო არაფერი ხდება“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლაზე და საკონსტიტუციო ცვლილებებზე საუბრობს.



***– ბატონო ლევან, კონსტიტუციით როგორ რეგულირდება პრეზიდენტის ყოველწლიური მიმართვა პარლამენტისადმი?***

– გიორგი მარგველაშვილს პირველს მოუწია არსებული კონსტიტუციის რედაქციით სახელმწიფოს მეთაურობა. კონსტიტუციით არის განსაზღვრული, როგორ უნდა იყოს პრეზიდენტის გამოსვლა პარლამენტში. სწორედ მას მოუწია პირველს, თუ როგორი უნდა იყოს პრეზიდენტი ვიწრო პარტიული ინტერესებისგან დისტანცირებული. ამავე კონტექსტში არის განსახილველი ქვეყნის მეთაურის ყოველწლიური მოხსენება წარმომადგენლობით ორგანოში, როგორიც არის პარლამენტი. ხალხის მიერ პირდაპირი გზით არჩეული სახელმწიფოს მეთაური თავის პოლიტიკურ ხედვას წარუდგენს მეორე არჩეულ, მაგრამ პოლიტიკურ ორგანოს. ეს არის ხელისუფლებათა პოლიტიკური გაწონასწორების მოდელი, როდესაც სახელმწიფოს მეთაუარი მიმართავს პოლიტიკურ ორგანოს და თავის ხედვას ან შენიშვნას გააცნობს. ამას კონსტიტუცია არეგულირებს.

***– რატომ გამოიწვია კონსტიტუციაში ასე გაწერილმა პროცედურამ ასეთი აჟიოტაჟი?***

– სავსებით გასაგები და ახსნადია: ეს ყველაფერი არის პოლიტიკა. ეს ქცევა არის პოლიტიკოსთა ქცევა, რასაც, ბუნებრივია, სახელმწიფოს მეთაური, ვიმეორებ, პარტიული პოლიტიკისგან დისტანცირებული, ვერ აყვება. ის უნდა მიყვეს კონსტიტუციას და არა პოლიტიკას. სალაპარაკო ორგანო არის პარლამენტი და, ბუნებრივია, რომ საკუთარი დღის წესრიგიდან გამომდინარე, პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე, იქცევიან პოლიტიკოსები. სიმართლე გითხრათ, ამაში უცნაური და მოულოდნელი არც არაფერია. ეს ყველაფერი მისაღებია, არ არის საგანგაშო.

იმედი მაქვს, რომ ჩვენი პოლიტიკოსები შეძლებენ, მალე დადგება ის დრო, როდესაც საკუთარ პოლიტიკურ დღის წესრიგზე ამაღლდებიან და ამ ყველაფერს სახელმწიფოებრივად შეხედავენ. ისინი დაინახავენ, რომ პრეზიდენტის ფუნქცია სწორედ ეს არის, რომ ყველა პოლიტიკური ძალა, პარტია სახელმწიფოს სამსახურში ჩააყენოს. შეიძლება იყოს გადახრა, შეცდომა, ამ დროს პრეზიდენტის, როგორც სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციაა, რომ ამაზე მიუთითოს.

***– რასაც მწვავედ აღიქვამენ ხოლმე პოლიტიკოსები.***

– დიახ და არც ამაშია რაფერი მოულოდნელი. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, საბოლოო ჯამში ქვეყნის ინტერებიდან გამომდინარე უნდა ხდებოდეს.

***– პრეზიდენტისა და მმართველი ძალის, რომლებმაც საბოლოო ჯამში საკონსტიტუციო ცვლილებებს უნდა უყარონ კენჭი, შეხედულებები ერთმანეთს არ ემთხვევა. როგორ განვითარდება მოვლენები?***

– დიახ, ეს ნამდვილად ასეა. თუმცა, მე შევახსენებ თქვენს მკითხველს, რომ არც მმართველ ძალაში არ ემთხვევა ერთმანეთს საკონსტიტუციო ცვლილებებზე აზრი.

***– კონკრეტულად?***

– მაგალითად, ერთ-ერთ ისეთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიც არის პრეზიდენტის არჩევის წესი. მე ვიცი და ღიადაც დაუფიქსირებიათ „ქართული ოცნების“ დეპუტატებს ამ საკითხზე თავიანთი პოზიცია. ბევრი მათგანი პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევის მომხრეა. პარლამენტში წარმოდგენილი ახალი პოლიტიკოსები უმრავლესობიდან, სწორედ პირდაპირ არჩევნებს ემხრობიან. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნო, რომ კონსტიტუცია უკვე დაწერილია და საკონსტიტუციო კომისია, უბრალოდ, ფასადია.

***– ასეთი განცდა გრჩებათ?***

– არა მხოლოდ.

***– კონკრეტული ფაქტი გაქვთ?***

– პირველი ფაქტი უკვე ვთქვი, როდესაც გუნდში ერთიანი პოზიცია არ არის საკითხზე, მაგრამ ვიცით, რომ არჩევის წესი შეიცვლება, მართალია ამ არჩევნებზე არა, მაგრამ იცვლება. მეორე, საკონსტიტუციო კომისიის წევრმა განაცხადა, რაც მოგვიანებით სხვებმაც დაადასტურეს, ვენეციის კომისიას პარლამენტიდან გადაეცა კონსტიტუციის ცვლილებების პროექტი, რომელიც ჯერ საკონსტიტუციო კომისიას არ განუხილავს.

***– უნდა განეხილა?***

– რასაკვირველია, უნდა განეხილა და შემდეგ უნდა გადასცემოდა ვენეციის კომისიას. ეს იცით რას ნიშნავს, იმას, რაც მე ვთქვი. სხვათა შორის, იგივე მოხდა შევარდნაძის პრეზიდენტობის დროსაც, როდესაც საკონსტიტუციო ცვლილებები მოხდა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კომისიაზე არ მიიღება კონსტიტუციის ახალი რედაქცია, საბოლოო ვარიანტს პარლამენტი კენჭისყრით მიიღებს. თუმცა, საზოგადოებას შევახსენებ პრემიერის და შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარის მიერ საჯაროდ დადებულ პირობას არჩევნებიდან მეორე დღეს, როდესაც ორივე ლიდერმა განაცხადა: ჩვენ, საკონსტიტუციო უმრავლესობას პარტიული ინტერესებისთვის არ გამოვიყენებთ და ახალი რედაქცია მიღებული იქნება კონსენსუსისა და საზოგადოების წარმომადგენლების ფართო ჩართულობით. ჯერჯერობით საწინააღმდეგოს ვხედავთ. თუმცა, დაველოდოთ, როგორ განვითარდება მოვლენები ამ მიმართულებით, გამიხარდება თუ მე ვცდები და „ქართული ოცნების“ ლიდერები, ქვეყნის პრემიერი თავის დადებულ პირობას დაიცავს.

# რა კავშირი აქვს სანკტ-პეტერბურგის ტერაქტს კავკასიასთან

## რუსეთში მოქალაქეების უფლებების შეზღუდვას ვარაუდობენ

მარიამ მჭედლიშვილი

კავკასიის საკითხებზე მომუშავე ანალიტიკოსები სანკტ-პეტერბურგის მეტროში მომხდარ ტერორისტულ აქტში კავკასიურ კვალს ხედავენ. 2016 წლის 17 აგვისტოს სანკტ-პეტერბურგში ერთ-ერთ მრავალსართულიან კორპუსში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს დაიხოცა 4 ჩრდილოკავკასიელი მებრძოლი. მათ შორის გავლენიანი ლიდერი, ყაბარდოელი ზალიმ შებზუხოვი.



შებზუხოვი 2014 წლიდან იძებნებოდა უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებში მონაწილეობის, ტერორისტული აქტების მომზადებისა და ახალგაზრდების გადაბირებისათვის. იგი იყო ტერორისტული ორგანიზაცია „იმარატ კავკასიის“ ყაბარდოს, ბალყარეთისა და ყარაჩაის ამირი. ზალიმ შებზუხოვი ჩართული იყო სირიაში მებრძოლების გაგზავნის საქმეშიც. თავის წრეში მას დიდი ავტორიტეტი ჰქონდა. შებზუხოვი „იმარატ კავკასიის“ მომავალ მეთაურადაც მოიაზრებოდა.

ექსპერტების აზრით, შებზუხოვს პეტერბურგში მიმდევრები დარჩა და მათ მოგვიანებით განახორციელეს მის მიერ სიცოცხლეში დაგეგმილი ტერაქტი. გარდა ამისა, ჩრდილოკავკასიელ ჯიჰადისტებს შეუძლიათ სხვა ქალაქებში გადასვლა.

– ტერაქტის ორგანიზებით ან შებზუხოვი იყო დაკავებული, ან მისი მომხრეები, – მიიჩნევს ახმეტ იარლიკაპოვი.

მისი შეფასებით, აქტიური კონტრტერორისტული მოქმედებების მიუხედავად, კავკასიაში ტერორიზმი დამარცხებული არ არის და აქაური ტერორისტები არეალს აფართოებენ:

– ჩრდილოეთ კავკასიაში ჩატარებული წარმატებული კონტრტერორისტული ოპერაციების შემდეგაც კი შეიარაღებულ ფორმირებებს შეუძლიათ თავიანთი მებრძოლების გადაადგილება და მათი მსხვილ ქალაქებში განთავსება. ტერორისტული იატაკქვეშა საქმიანობა ფართოვდება. არაა გამორიცხული, რომ არსებობდეს რადიკალური ისლამის მიმდევრების ქსელი, რომელიც ვრცელდება, პირველ რიგში, რუსეთის უმსხვილეს ქალაქებზე – მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგზე.

ახმეტ იარლიკაპოვს მიაჩნია, რომ ლიდერების განადგურებით კავკასიაში ტერორიზმი არ დამარცხებულა:

– კავკასიაში „ბოევიკების“ განადგურებით გამოწვეული აღფრთოვანება და ტერორისტული აქტების შემცირება მეორე პლანზე გადადის. ბანდფორმირებების ზედა ფენის განადგურება არ ნიშნავს მის სრულ ლიკვიდაციას. ჩვენ შევეჩეხეთ სერიოზულად ორგანიზებულ ქსელურ სტრუქტურას, რომელსაც ძალითა და იარაღით ვერ მოვერევით. ამ ქსელს ფაქიზად, სისტემურად და სკურპულოზურად უნდა დავუპირისპირდეთ.

– „ბოევიკებს“ განზრახული აქვთ, გაიტანონ ომი კავკასიის საზღვრებიდან. ეს შესაძლებელია მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში ტერაქტების მოწყობით.

სანკტ-პეტერბურგში მომხდარის ჩრდილოკავკასიურ კვალზე საუბრობს ტერორიზმის საკითხებზე მომუშავე სერგეი გონჩაროვიც.

– თვითმკვლელი, შესაძლოა, შებზუხოვის მიერ ყოფილიყო მომზადებული, – აღნიშნავს იგი.

გონჩაროვი ვარაუდობს, რომ ტერაქტები ადრე დაიგეგმა, თუმცა აფეთქების გადაწყვეტილება ტერორისტებმა ბოლო დღეებში მიიღეს.

სერგეი გონჩაროვი აცხადებს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ტერორიზმი არ შენელებულა, გრძელდება თავდასხმები პოლიციელებზე, 24 მარტს კი ჩეჩნეთში განხორციელდა იერიში რუსეთის ეროვნულ გვარდიაზე, რასაც 6 სამხედრო შეეწირა.

მისი სიტყვებით, „ისლამური სახელმწიფოს“ წევრების მიერ გამოცხადებული მუქარა სრულდება.

ისლამურმა სახელმწიფომ რუსეთს ჯიჰადი 2016 წლის აგვისტოში გამოუცხადა. მაშინ ამ დაჯგუფებას ჩრდილოეთ კავკასიაში უკვე შექმნილი ჰქონდა თავისი ვილაიეთი.

რუსეთში საფრთხეს ხედავენ იმაშიც, რომ იგეგმება აქციები ტერორიზმის წინააღმდეგ.

მეცნიერი ანდრეი დანილოვი მიიჩნევს, რომ ხელისუფლების მიერ წახალისებული ანტიტერორისტული, პოპულისტური მიტინგები შეიძლება დამთავრდეს ისეთი კანონების მიღებით, რომლებიც ზღუდავს სიტყვის, გადაადგილების, კერძო მიმოწერის თავისუფლებას.

– ხელისუფლება ცდილობს მოიპოვოს პოლიტიკური დივიდენდი ამ ტერორისტული აქტიდან, გაზარდოს თავისი რეიტინგი და თავის გარშემო შეკრიბოს ადამიანები, – აცხადებს ექსპერტი.

– ამის მაგივრად ჯობია, გააძლიერონ უსაფრთხოება მეტროში, აეროპორტებსა და სადგურებში, ასევე გაააქტიურონ ძალოვანი სტრუქტურების მუშაობა, – ამბობს ანდრეი დანილოვი.

# პროვოკაცია თუ მანქანის გაუმართაობა

## რა მოხდა გორის გზაზე

შორენა მარსაგიშვილი

**გუშინ, 5 აპრილს, ქუთაისის პარლამენტთან საპროტესტო აქცია „არა ჩადებას“ უნდა გამართულიყო. ამ კამპანიის ფარგლებში თბილისში რამდენიმე აქცია გაიმართა. ქუთაისში დაგეგმილი აქცია კი გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო ჩაიშალა.**

**აქციის მონაწილეებმა მხოლოდ გორამდე მიაღწიეს. გორთან ახლოს აქციის ერთ-ერთი მონაწილის ზვიად კუპრავას მანქანა მწყობრიდან გამოვიდა.**

– მანქანა, რომლითაც ყოველდღიურად ვმოძრაობდი, მოულოდნელად გამოვიდა მწყობრიდან, პირველადი დათვალიერებით, მიზეზი ძალიან ჰგავს ხელოვნურ მანიპულაციას, რადგან გზაში, გორთან ძრავიდან ამოხეთქა ზეთმა და ძრავა გამოვიდა მწყობრიდან, რაშიც გამოცდილი მძღოლები დამეთანხმებიან, არ არის ბუნებრივი და ხშირი მოვლენა, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში კუპრავამ.

სამართალდამცავთა რეფორმების ცენტრის ხელმძღვანელს უჭირს იმის მტკიცება, რომ ვიღაცამ მისი მანქანა შეგნებულად გამოიყვანა მწყობრიდან.

– გამორიცხვით არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. მანქანა მიყენია კორპუსის ეზოში. ეზოში კამერები არ არის და, შესაბამისად, ძალიან ძნელია იმის მტკიცება, რომ ჩემი მანქანა შეგნებულად დააზიანეს, – ამბობს კუპრავა.

მან ხელოსნებს მანქანა უკვე შეამოწმებინა, მაგრამ სამართალდამცავებისთვის არ მიუმართავს:

– რაიმე სერიოზული რომ მომხდარიყო, ალბათ მოვითხოვდით გამოძიების დაწყებას, მაგრამ არაფერი არ მომხდარა და შეიძლება ეს მხოლოდ ტექნიკური პრობლემა იყოს.

ზვიად კუპრავას თქმით, მართალია, 5 აპრილის აქცია ჩაიშალა, მაგრამ კამპანია „არა ჩადებას“ აქტიურად გაგრძელდება.

– შაბათს, 8 აპრილს, თბილისში ამ კამპანიის ფარგლებში სერიოზული აქცია გაიმართება. მომავალ კვირაში კი უკვე საპარლამენტო ფრაქციებს შევხვდებით. გავაცნობთ ჩვენს კანონპროექტს, რომლის წყალობითაც ჩადების რისკი 99%-ით შემცირდება, – აღნიშნავს კუპრავა.

ამ დროისთვის მათთან შეხვედრის სურვილი საპარლამენტო ოპოზიციამ გამოთქვა. კამპანიის მონაწილეებს იმედი აქვთ, რომ ამ საკითხზე სასაუბროდ ხელისუფლებაც მოიცლის.

– ეს იქნება ტესტი ხელისუფლებისთვის, ჩვენ არ გავჩერდებით და კამპანია „არა ჩადებას“ აუცილებლად მიაღწევს თავის დასახულ მიზანს, – ასეთია მისი პოზიცია.

◆ ◆ ◆

ქუთაისში კუპრავა ნარკოტიკების ჩადების გაპროტესტების გარდა, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერ არჩილ თალაკვაძესთანაც სურდა ერთი საკითხის გარკვევა.

სამართალდამცავთა რეფორმების ცენტრის ხელმძღვანელი 2 დღის წინ შსს-ს სტატისტიკის გაყალბებაში სდებდა ბრალს. მისი თქმით, შსს დანაშაულის გახსნის მაჩვენებელს ხელოვნურად ზრდის.

– საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერ არჩილ თალაკვაძეს, რომელიც თავის დროზე შს მინისტრის მოადგილე იყო, ძალიან საინტერესო რაღაც წამოსცდა, რითაც პრაქტიკულად დადასტურდა ის ფაქტი, რომ შსს სტატისტიკას აყალბებს.









გადაცემა „არჩევანში“ თალაკვაძემ განაცხადა, რომ 2016 წელს შსს-მ 13.000 ადამიანი დააკავა. შსს-ს ინფორმაციით კი შარშან 20.661 დანაშაული გაიხსნა. ამდენი დანაშაული თუ გაიხსნა, 13.000 როგორ დააკავეს, სად წავიდა 7.661 დამნაშავე? – კითხულობს კუპრავა.

მისი თქმით, გახსნის შემთხვევაში ერთ დანაშაულს შეიძლება ჰყავდეს ორი, სამი, ოთხი ან ხუთი ბრალდებული.

– აქედან გამომდინარე თალაკვაძისგან მაინტერესებს იმის მოსმენა, რატომ არის ასეთი სხვაობა. – ამბობს სამართალდამცავთა რეფორმების ცენტრის ხელმძღვანელი.

ის იმედოვნებს, რომ თალაკვაძესთან ერთად კითხვებს პასუხს შსს-ც გასცემს.

## ბექა ოდიშარია: „თვითმმართველობების ირგვლივ ხელოვნური ხმაურია ატეხილი“



– თვითმმართველობების ირგვლივ ხელოვნური ხმაურია ატეხილი, – ამის შესახებ პარლამენტის სხდომაზე საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ბექა ოდიშარიამ „ევროპული საქართველოს“ წევრის, მამუკა ჩიქოვანის საპასუხოდ განაცხადა. მისი თქმით, მამუკა ჩიქოვანის საუბარი დაამშვენებდა 2014 წელს ჩატარებულ რეფორმამდე არსებულ სისტემას.

– რაც შეეხება თვითმმართველობის რეფორმის შესაძლო დახვეწის ირგვლივ ატეხილ ხმაურს, მინდა განვაცხადო, რომ „ქართული ოცნების“ დამსახურებაა 2014 წელს განხორციელებული რეფორმა. იქამდე არსებული სისტემა ვერ აკმაყოფილებდა ვერც იმდროინდელ და ვერც თანამედროვე მოთხოვნებს, ისევე, როგორც შესაბამისობაში არ იყო ევროპულ ქარტიასთან. პრობლემა იყო ფინანსების ნაკლებობა თვითმმართველობებში და ეს რესურსები გავზარდეთ, პრობლემა იყო დამოკიდებულების ხარისხი და ჩვენ გავმიჯნეთ ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის უფლებამოსილებები. ახლა მაინტერესებს, რატომ საუბრობთ ასეთ უსამართლო თემებზე?! „ქართული ოცნება“ არ არის ხელისუფლება, რომელიც გამომცხვარ გადაწყვეტილებებს სთავაზობს პარლამენტს, რომ გავაფორმოთ ნოტარიული წესით, – განაცხადა ბექა ოდიშარიამ.


გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# „გუდა-ნაბადი ხომ არ ავიკრა? გული მაქვს გახეთქილი“ — ელისაშვილის პასუხი ნარმანიას მუქარას

„ფალოსის ნახევარკუნძული თბილისის ზღვაში“ – თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა ალეკო ელისაშვილმა სოციალურ ქსელში ამ დასათაურებით თბილისის ზღვის კონცეპტუალური განვითარების გეგმის ერთ-ერთი ილუსტრაცია გაავრცელა.

აღნიშნულს გუშინ დედაქალაქის მერი დავით ნარმანია გამოეხმაურა. მისი განცხადებით, ის სიკეთეები, რაც კეთდება, ელისაშვილის მხრიდან უკუღმა არის დანახული. გავრცელებული ინფორმაციისთვის კი ელისაშვილს მკაცრ პასუხს მოსთხოვს, როდესაც საკრებულოში მივა.

„ნიუპოსტთან“ საუბრისას ალეკო ელისაშვილი აცხადებს, რომ მის მიერ გავრცელებული ილუსტრაცია იმ დოკუმენტს ერთვის, რომელიც თბილისის მერიის ეკონომიკური სამსახურიდან მიიღო:

– გული მაქვს გახეთქვაზე, ეს რომ წავიკითხე, ახლა ვფიქრობ, გუდა-ნაბადი ხომ არ ავიკრა და საერთოდ გადავიხვეწო ქვეყნიდან, ახლა ვფიქრობ, რომელ ქვეყანას ვთხოვო თავშესაფარი.

სინამდვილეში, ის ილუსტრაციები თვითონ მერიის გამოგზავნილია, მე კი არ დავხატე?! ნარმანიამ ვერც უარყო, რაღაცას მიედ-მოედო და ის მთავარი კითხვა, ეს ილუსტრაციები ნამდვილად იდო თუ არა ამ დოკუმენტში და ამაში 490 ათასი ლარი ნამდვილად გადახდილია თუ არა, ამას გვერდი აუარა. ეს ილუსტრაციები ნამდვილია, მერიის ეკონომიკის სამსახურმა გამომიგზავნა, ამ კითხვას გასცეს პასუხი, რა საჭიროა გენერალური გეგმის პარალელურად კიდევ ნახევარი მილიონი ლარის







გადაყრა კონკრეტული არეალის გენგეგმაში. ეს ილუსტრაციები ახლავს თუ არა იმ დოკუმენტაციას, ამაზე გაგვცეს პასუხი, – განაცხადა ალეკო ელისაშვილმა „ნიუპოსტთან“ საუბრისას.

**ნიუპოსტი**

# 2017 წლის პირველ კვარტალში საქართველოდან ღვინის ექსპორტი 85%-ით გაიზარდა



– წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 2017 წლის პირველ კვარტალში საქართველოდან ღვინის ექსპორტი 85%-ით გაიზარდა, – ამის შესახებ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა გიორგი სამანიშვილმა განაცხადა, რომელმაც ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტის პირველი კვარტლის მონაცემები წარადგინა.

როგორც სამნიშვილმა აღნიშნა, ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2017 წლის იანვარ-მარტში საქართველოდან მსოფლიოს 38 ქვეყანაში ექსპორტირებულია 14 199 018 ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 85%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემებს. მისივე განცხადებით, საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 32,2 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 77%-ით აღემატება გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს.

– პირველი კვარტლის მონაცემებით, ღვინისა და სხვა ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტი გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად გაზრდილია, რაც უმთავრესად განპირობებულია ღვინის ეროვნული სააგენტოსა და მეღვინეობის დარგის შეთანხმებული და თანმიმდევრული მუშაობით. ექსპორტი გაზრდილია ევროკავშირის, ჩინეთის, აშშ-ის და ასევე ტრადიციული ბაზრების მიმართულებით, გაზრდილია ექსპორტის გეოგრაფიაც.

2017 წელი აქტიურად დაიწყო და იმედია, რომ ექსპორტის ზრდის ტენდენცია წლის ბოლომდე შენარჩუნდება, – აღნიშნა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, გიორგი სამანიშვილმა.

მისივე თქმით, ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეულია: რუსეთი – 8.987.745, ჩინეთი – 1.794.200, უკრაინა – 1.305.508, პოლონეთი – 561.294 და ყაზახეთი – 473.515 ბოთლი.

ექსპორტის მატება აღსანიშნავია შემდეგ ქვეყნებში: ჩინეთი – 383% (1.794.200), ისრაელი – 333% (42.570), რუსეთი – 120% (8.987.745), კანადა – 55% (34.650), პოლონეთი – 27% (561.294), გერმანია – 22% (98.926), უკრაინა – 20% (1.305.508), აშშ – 7% (66.714), ლატვია – 5% (255.896).

სამანიშვილის განცხადებით, ამასთან, მსოფლიოს 13 ქვეყანაში ექსპორტირებულია 3.302.962 ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 51%-ით აღემატება 2016 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. სულ ექსპორტირებულია 8,7 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ბრენდი – მატება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 71%-ს აღწევს.

– პირველ კვარტალში ექსპორტირებულია 46.990 ბოთლი (0,5 ლ) ჭაჭა, ზრდამ 142% შეადგინა. ჭაჭის ექსპორტით მიღებული შემოსავლები 137 ათას აშშ დოლარს შეადგენს, ზრდამ გასული წლის საანგარიშო პერიოდთან შედარებით 114%-ს მიაღწია. მთლიანობაში, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინო მასალის, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა საანგარიშო პერიოდში 58,5 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა – ზრდამ 2016 წლის პირველ კვარტალთან შედარებით 76% შეადგინა, – განაცხადა სამანიშვილმა.

# „2016 წელს ქვეყანაში დაფიქსირდა რეკორდი — 6,3 მილიონი ტურისტი შემოვიდა“

ტურიზმიდან შემოსავლებმა გადააჭარბა 2 მილიარდ დოლარს, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ევრაზიის მთის კურორტების მესამე კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებისადმი მთავრობის თანმიმდევრული და ეტაპობრივი მიდგომის შედეგად, საქართველოში დაფიქსირდა საერთაშორისო სტუმრების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა.

– 2016 წელს ქვეყანაში დაფიქსირდა რეკორდი – 6,3 მილიონი ტურისტი, ხოლო ტურიზმიდან შემოსავლებმა გადააჭარბა 2 მილიარდ დოლარს. უვიზო მიმოსვლა საქართველოს მოქალაქეთათვის, რომელიც ევროკავშირმა სულ ახლახან დაამტკიცა, არის უმნიშვნელოვანესი მიღწევა, რომელიც კიდევ უფრო გააღრმავებს და წაახალისებს ადამიანებს შორის კონტაქტებს, ბიზნესურთიერთობებსა და ტურიზმს, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.



ამასთან, პრემიერმა ზურაბ პოლოლიკაშვილის კანდიდატურის გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალური მდივნის თანამდებობაზე დასახელების შესახებაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ეს სექტორი მომავალშიც გააგრძელებს დინამიურად განვითარებას.

– ჩვენ, ქართველები, დარწმუნებულნი ვართ, რომ ზურაბ პოლოლიკაშვილის კანდიდატურის დასახელებით გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალური მდივნის თანამდებობაზე ეს სექტორი მომავალშიც გააგრძელებს დინამიურად განვითარებას, ხოლო გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია კიდევ უფრო გაძლიერდება და მხარს დაუჭერს ყველა ქვეყანას, ასოცირებულ თუ შვილობილ ორგანიზაციას.

დარწმუნებული ვარ, რომ არჩევის შემთხვევაში ელჩი პოლოლიკაშვილი იქნება ღირსეული მემკვიდრე, რომელიც სათანადოდ შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. გამოვთქვამ იმედს, რომ საერთაშორისო საზოგადოება მხარს დაუჭერს მას, – აღნიშნა კვირიკაშვილმა.

საქართველოს პრემიერმა სიტყვით გამოსვლის დასასრულს მადლობა გადაუხადა გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციას მხარდაჭერისთვის.

# 19 წლის სტუდენტის „მოსიარულე“ ბიზნესი — „ყველაფერს მარტო ვაკეთებ, დაწყებული ბუღალტერიით, დამთავრებული გაყიდვებით“

**პირველად საქართველოში ველოსიპედით მორთმეული ყავის Bicycle Coffee დაგემოვნება გახდა შესაძლებელი. Bicycle Coffee-ს ბიზნესი 19 წლის სტუდენტმა ცოტნე ყალიჩავამ წამოიწყო. თუ მას ქუჩაში შეამჩნევთ, შეგიძლიათ გააჩეროთ და ცხელ ქვიშაზე მის მიერ მომზადებული უგემრიელესი თურქული ყავა მიირთვათ.**

**როგორც ყალიჩავა „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, ეს მისი პირველი ბიზნესია და სამომავლოდ Bicycle Coffee-ს განვითარებას მთელი ძალისხმევით აპირებს. ახალგაზრდა ბიზნესმენი ერთ ადგილზე არასდროს დგას და მის მოსიარულე საწარმოს ძველი თბილისის უბნებში აუცილებლად შეამჩნევთ.**



***– საკმაოდ უცნაური ბიზნეს იდეის განხორციელება შეძელით. სანამ უშუალოდ ბიზნესზე საუბარს დავიწყებდეთ, გვიამბეთ თქვენ შესახებ...***

– წარმოშობით ფოთიდან ვარ და ამჟამად თსუ-ში ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი ვარ. დილით უნივერსიტეტში მივდივარ და შუადღის პირველი საათის შემდგომ ბიზნესს ვუძღვები. უამინდობაში მომხმარებლების რაოდენობა იკლებს და ასეთ დროს მეც ვერიდები გარეთ ველოსიპედით ყავის გასაყიდად გასვლას.

***– საქართველოში მოქალაქეებს გაუჩნდათ შესაძლებლობა, რომ პირველად ველოსიპედით მორთმეული ყავა დააგემოვნონ. როდის და როგორ ჩამოყალიბდა ამ ბიზნესის შექმნის იდეა? რა სირთულეების წინაშე იდექით და ახლა ბიზნესის განვითარების რა ეტაპზე იმყოფებით?***

– 19 მარტს ჩემი ველოსიპედითა და ყავით ძველ თბილისში პირველი გასვლა მქონდა. ველოსიპედით მორთმეული ყავა საქართველოში პირველადაა და თავიდან ეს ყველას გაკვირვებას იწვევს, თუმცა შემდგომ ძალიან დიდი ინტერესით აკვირდებიან ყავის მომზადების პროცესს. რაც შეეხება ველოსიპედს, ის მუდმივად გადაადგილების პროცესშია და ერთ ადგილზე არასდროს დგას. ჩემი ნახვა შეგიძლიათ როგორც რიყეზე, ისე აბანოთუბანში, ლესელიძესა და ქალაქში არსებულ ნებისმიერ ტურისტულ ზონაში.

სახელწოდება Bicycle Coffee მომხმარებელს მისი დანიშნულებისა და იდეის შესახებ თავიდანვე აწვდის ინფორმაციას.

რაც შეეხება სირთულეებს, თავდაპირველად აღმოვაჩინე, რომ საქართველოში სამთვლიანი ველოსიპედის ყიდვა ძალიან რთული იყო. ამიტომ მე და ბიძაჩემმა ნახაზი დავხაზეთ და ის, რასაც ახლა თქვენ ხედავთ, საკუთარი ხელით ავაწყეთ.

თავდაპირველად სამთვიანი ტრენინგი ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლაში გავიარე. დაფინანსების დახმარებით ბიზნესი 3.000 ლარით წამოვიწყე. თავიდან ამ იდეას სხვა სახე ჰქონდა, თუმცა ნელ-ნელა დავხვეწე და საბოლოოდ ასეთი გამოვიდა.

ჩემი ძირითადი ნიშა ყავა ქვიშაზეა და მისი ფასი ორი ლარი გახლავთ, ასევე მაქვს ქართული წარმოების შავი და ხილის ჩაი.

***– როგორც ვხედავ, იდეამ გაამართლა, როგორია მომხმარებელთა რაოდენობა და განსაკუთრებით რომელი სეგმენტის წარმომადგენლებში იწვევთ Bicycle Coffee-ით ინტერესს?***

– მომხმარებელთა რაოდენობა მუდმივად იზრდება, შესაძლოა, დასაწყისისთვის მათი რაოდენობა ცოტა იყო, მაგრამ მცირე დროში ქართველი და უცხოელი მომხმარებლების რაოდენობამ იმატა. ხალხს აინტერესებს რა არის ქვიშაზე მოდუღებული ყავა ველოსიპედზე. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ჩემს ბიზნესს ტურისტები და ყავის მომზადების პროცესსაც გაკვირვებულები უყურებენ. ასევე ზოგადად სტუდენტების სეგმენტი ჩემი ბიზნესისთვის მომგებიანია.

რაც ბიზნესს ეხება, ყველაფერს მარტო ვაკეთებ, დაწყებული ბუღალტერიით, დამთავრებული გაყიდვებით. ჩემი გაყიდვები და ბიზნესის წინსვლა კარგ ამინდებსა და ტურისტულ სეზონზეა დამოკიდებული.

***– როგორც დამწყები ბიზნესმენი, ქვეყანაში დღეს არსებულ ბიზნესგარემოს როგორ შეაფასებდით და ამ კუთხით ისურვებდით თუ არა რაიმეს შეცვლას?***

– დამწყები ბიზნესმენებისთვის სახელმწიფოს მხრიდან უფრო მეტ თანადგომას და მხარდაჭერას ვისურვებდი. კერძოდ, სახელმწიფო დაფინანსების კუთხით ბევრ პროექტს გვთავაზობს, თუმცა საშემოსავლო კუთხით უფრო რბილი პოლიტიკის გატარებაა საჭირო, რადგან ახლად წამოწყებულ ბიზნესს დახმარება სჭირდება. დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, ქვეყანაში ბიზნესის მაღალ დონეზე განვითარება და, შესაბამისად, დახმარებაა საჭირო.

ასევე, დაბეგვრის კუთხით შესაძლოა, ახალი პოლიტიკის შემოღება, რაც მცირე ბიზნესს დაეხმარება, რომ წამოწყებიდან პირველი რამდენიმე თვის განმავლობაში დაბეგვრის გარეშე ან მინიმალური დაბეგვრით შეძლოს განვითარება.

გარევაჭრობასთან დაკავშირებულ თემასაც მინდა შევეხო, რადგან ბოლო დროს ძალიან გააქტიურებულია ეს საკითხი, ამიტომ ყოველთვის ფრთხილად ვარ. მე მოძრავი საწარმო მაქვს და მუდმივად გადაადგილების პროცესში ვარ.

შესაძლოა, ვინმემ მე გარემოვაჭრედ ჩამთვალოს და ამან ბიზნესის განვითარებაში ხელი შემიშალოს. იმედია, ამ თვალსაზრისით პრობლემები არ შემექმნება.

***– როგორც ჩანს, ამჟამად თქვენი ბიზნესი მხოლოდ გაზაფხულისა და ზაფხულის სეზონზეა გათვლილი, რა ბედი ელის Bicycle Coffee-ს ზამთარში? ასევე თქვენი სამომავლო გეგმები საკმაოდ საინტერესოა და მის შესახებ „კომერსანტის“ მკითხველსაც უამბეთ.***

– ჩემი ბიზნესის განვითარების პერსპექტივას მომავალშიც ვხედავ, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არც წამოვიწყებდი. სამომავლოდ ბიზნესის განვითარებას, რა თქმა უნდა, ვგეგმავ.

მინდა გარკვეული კაპიტალი დავაგროვო და ბიზნესი ისე განვავითარო, რომ ზამთრის სეზონზე საკუთარი, ბრენდირებული პატარა ადგილი მქონდეს. ამ კუთხით ინვესტიციების მოძიებას ვგეგმავ და ზამთრის სეზონამდე ყველანაირ რესურსს გამოვიყენებ, რომ ბიზნესი სხვა ეტაპზე გადავიდეს.

სამომავლოდ იდეაში ზაფხულისთვის ახალი ველოსიპედების დამატება მაქვს, ასევე მსურს ჩემი პროდუქტის მომხმარებელს ცივი ყავა, გამაგრილებელი სასმელები და ნაყინი შევთავაზო. ნაყინი, რომლის დამზადებაც მსურს, საქართველოში არ არის შემოტანილი.

ასევე მინდა მომავალში ჩემი ბიზნესი თბილისის ბევრ უბანში იყოს ხელმისაწვდომი. ჩემი მიზანია ის, რომ მომხმარებელმა მიირთვას ისეთი პროდუქტი, რისი დამზადების პროცესსაც თავად ხედავს.

**კომერსანტი**

# შატილის გზა შესაძლოა 16 აპრილამდე გაიხსნას

შატილთან დამაკავშირებელი ერთადერთი საავტომობილო გზა წელს შესაძლოა დაგეგმილზე ბევრად ადრე, 16 აპრილამდე, სააღდგომოდ გაიხსნას. როგორც „მთის ამბებს“ შპს „საგზაო 19“-ის წარმომადგენელმა ზურა არაბულმა განუცხადა, ტექნიკას დათვიჯვრის უღელტეხილამდე 3 კილომეტრიღა დარჩა გასაწმენდი.

– გზა გასულ წელს 15 მაისს გავხსენით, მაგრამ წელს ამინდი ხელს გვიწყობს და ძალიან ვცდილობთ, რომ სააღდგომოდ გავხსნათ. უღელტეხილს იქით, ვიცით, რომ 92, 93-ე და 98-ე კილომეტრებზე ზვავებია და დროს ამის გათვალისწინებით ვვარაუდობთ, – აღნიშნა ზურა არაბულმა.

ზამთარში გზა რეგულარულად იწმინდებოდა გუდანამდე, სადაც მუდმივად 4 ოჯახიღა ცხოვრობს. გზა უკვე ღიაა სოფლებამდე – ბისო და ხახმატი.

ზურა არაბული ვარაუდობს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ამინდი არ გაუარესდა, რაც პროგნოზით მოსალოდნელი არ არის, ლებაისკარამდე და კისტანამდე გზა 10 აპრილისთვის ღია იქნება.

პირიქითა ხევსურეთთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზა დათვიჯვრის უღელტეხილზე დიდთოვლობის გამო ოქტომბრის ბო-



ლოს იკეტება. უღელტეხილი ზღვის დონიდან 2676 მეტრზეა. ზამთარში ხევსურეთის სოფლებთან დაკავშირება მხოლოდ ვერტმფრენით არის შესაძლებელი. თბილისიდან ხევსურეთში თვეში ერთხელ სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენი დაფრინავს, რომელსაც მესაზღვრეები გადაჰყავს. განსაკუთრებულ შემთხვევებში, სასაზღვრო პოლიციასთან შეთანხმებით ადგილობრივებიც ახერხებენ გადაადგილებას.

სამოქალაქო ავიარეისები ხევსურეთში იშვიათად სრულდება. ხევსურეთის ექიმის მიხეილ ჭინჭარაულის თქმით, სამოქალაქო რეისი თვეში ერთხელ მაინც რომ სრულდებოდეს, ხევსურეთში ზამთარში მეტი ხალხი დარჩებოდა და დამკვიდრდებოდა. ზამთარში შატილში 10 ოჯახი ცხოვრობს, მუცოში ერთი და ხონეშიც ორი ან სამი.

დუშეთის რაიონის სოფელ ჩინთიდან შატილამდე 97 კილომეტრია და გზის გავლას დაახლოებით 4 საათი სჭირდება. შატილში ასვლა მსუბუქი ავტომობილითაც არის შესაძლებელი.

რაც შეეხება თუშეთთან დამაკავშირებელ გზას, მის მოვლა-პატრონობას 2017 წლიდან 2020 წლის 1 იანვრამდე შპს „გერალი“ ახორციელებს. საავტომობილო გზების დეპარტამენტი ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას გზის მიმდინარე და პერიოდული სამუშაოებისთვის 1 236 791 ლარს უხდის. შპს „გერალის“ წარმომადგენელი ტარიელ წიკლაური ფშაველი-ომალოს გზის გახსნას 15-20 მაისისთვის ვარაუდობს. გასულ წლებშიც ამ დროს ხსნიდა ხოლმე გზას შპს „თუშეთგზა“, რომელიც თუშეთის გზის მოვლა – პატრონობას ბოლო 5 წლის განმავლობაში ახორციელებდა. კომპანიას არასაკმარისი და ძველი ტექნიკა აქვს, რომელიც მწყობრიდან ხშირად გამოდიოდა და მის შეკეთებას რამდენიმე დღე სჭირდებოდა. ბოლო წლებში როგორც ადგილობრივები, ასევე ტურისტები გზის მდგომარეობით მკვეთრად უკმაყოფილოები იყვნენ.

– 33-ე კილომეტრზე ვართ, ანუ თორღვას აბანოს 3 კილომეტრით გავცდით. 5 ტრაქტორი მუშაობს, 2 რეზერვში გვაქვს. აბანოს უღელტეხილამდე 12 კილომეტრია დარჩენილი. ცოდვიანთხევში დიდი ზვავია და შემდეგ კიდევ ორგანაა ზვავი ჩამოსული. ასევე, გვაქვს ინფორმაცია, რომ 56-ე კილომეტრზე, უღელტეხილს იქით, ფიცრიჭალასთან მთა არის ჩამოშლილი. ვფიქრობთ, რომ 15-20 მაისისთვის გავხსნით გზას, – აღნიშნა ტარიელ წიკლაურმა.

აბანოს უღელტეხილი ზღვის დონიდან 2950 მეტრზეა და დიდთოვლობის გამო თუშეთის გზა 6 თვის განმავლობაში ჩაკეტილია. წელს, პრემიერ-მინისტრის დავალებით ახმეტიდან ომალოს მიმართულებით ავიარეისები დაინიშნა, რომელიც საავტომობილო გზის გახსნამდე ყოველ ხუთშაბათს შესრულდება. ადგილობრივებისთვის მგზავრობა უფასოა.

ომალო-ალვანის საავტომობილო გზა ერთ-ერთი ყველაზე რთული სატრანსპორტო მონაკვეთია საქართველოში.

**მთის ამბები**

# გელა ხვედელიძის ვარაუდით, მასზე თავდამსხმელები მოჭიდავეები არიან



შს მინისტრის ყოფილი მოადგილე გელა ხვედელიძე ვარაუდობს, რომ თავდამსხმელები მოჭიდავეები იყვნენ და ჩხუბის ხელოვნებას ფლობდნენ, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ჟურნალისტმა და ხვედელიძის მეგობარმა ელისო კილაძემ განუცხადა.

მისი თქმით, გელა ხვედელიძისთვის ადვილი გამოსაცნობი იყო, სპორტის რომელი სახეობის წარმომადგენლები არიან თავდამსხმელები.

– თავდამსხმელი იყო ორი და მან ეს დაადასტურა. როდესაც შეიძინა სიგარეტი და ბრუნდებოდა მანქანასთან, ერთ ხელში ეკავა მობილური ტელეფონი, რომლითაც მე მესაუბრებოდა, მეორე ხელით კი ხსნიდა სიგარეტს. უკანა მხრიდან მას ერთ-ერთმა შეუბოჭა ხელები, შემოეხვია ტანზე და ეგონა, რომ მისი ნათესავი ეხუმრებოდა. მეორე თავდამსხმელმა უკანა მხრიდან დაარტყა წიხლი, რის შედეგადაც ჩაიკეცა. მან დაიწყო თავდამსხმელის მოგერიება. როგორც მითხრა, ერთ თავდამსხმელს ფეხში ხელი წაავლო და მეორე ხელით ცდილობდა მეორის მოგერიებას. ეს წამებში ხდება, იქამდე სანამ მისი მეუღლე მივიდოდა დასახმარებლად.

პარალელურად აგინებდა მათ. სწორედ ამ მომენტში გაიგონა ერთ-ერთი თავდამსხმელის ხმა – ნახე, ეს ისევ გვაგინებსო. ამის შემდეგ გამოჩნდა მისი მეუღლე, რომელიც შეეცადა ერთ-ერთი თავდამსხმელისთვის ნიღაბი ჩამოეხსნა.

ისინი გაიქცნენ ბარნოვის ქუჩის მიმართულებით და შეუხვიეს გუდაურის ქუჩაზე. იქაც არის კამერები და ვიცი, რომ პოლიციამ ყველა კამერის ჩანაწერი ამოიღო.

ისინი იყვნენ კარგად ნავარჯიშები, რომლებმაც ჩხუბის ხელოვნება იცოდნენ. გელა ხვედელიძემ გამოთქვა ვერსია, რომ ისინი იყვნენ მოჭიდავეები.

გარდა იმისა, რომ ის უშიშროების ორგანოებში დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა, ყოფილი ფეხბურთელია და მისთვის მარტივად გამოსაცნობი იყო, სპორტის რომელი სახეობის წარმომადგენლები იყვნენ. თავდამსხმელს ჰქონდა „კასტეტი“, რითაც დაუზიანეს სახის ძვლები, – აღნიშნა კილაძემ.

ამასთან, მისივე თქმით, გელა ხვედელიძე პირად შურისძიებას გამორიცხავს.

– გუშინ ვესაუბრე გელა ხვედელიძეს. ჩვენ შევაჯერეთ ვერსიები. ის გამორიცხავს პირადი მტრობის გამო შურისძიებას, გამორიცხავს გიორგი ფარესაშვილის მხრიდან შურისძიებას. ერთ-ერთ ვერსიად განიხილავს გოგაშვილის (სუსის უფროსის მოადგილე) მხრიდან შურისძიებას. მან მითხრა, რომ გოგაშვილმა მუდმივად იცოდა მისი გადაადგილების მარშრუტი. ძალიან ხშირად მას მისდიოდა ინფორმაცია – გოგაშვილი ამბობდა სწორედ ამ ადგილზე, გზაჯვარედინზე გელა ხვედელიძე ხვდება ადამიანებს და მართავს იქ რაღაც კონსულტაციებსო, – აღნიშნა კილაძემ.

3 აპრილს, გელა ხვედელიძეს თავს ნიღბიანები საკუთარ სახლთან დაესხნენ. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით შსს-მ გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით 177-ე მუხლით დაიწყო, რაც სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, ამჟამად საგამოძიებო მოქმედებები აქტიურად მიმდინარეობს და საქმეზე დამატებითი დეტალები საზოგადოებას მოგვიანებით ეცნობება.

# ელისო კილაძე: „გელა ხვედელიძე მასზე თავდასხმას პოლიტიკურ მოტივს უკავშირებს“

– შს მინისტრის ყოფილი მოადგილე გელა ხვედელიძე მასზე თავდასხმას პოლიტიკურ მოტივს უკავშირებს, – ამის შესახებ ჟურნალისტებს გაზეთ „ქრონიკა პლუსის“ მთავარმა რედაქტორმა ელისო კილაძემ განუცხადა.

ელისო კილაძე „ნიუ ჰოსპი-



ტალში“ იმყოფებოდა. მისი თქმით, გელა ხვედელიძემ თავდასხმის ფაქტთან დაკავშირებით გამომძიებლებს დეტალური ჩვენება მისცა. – გელა ხვედელიძემ დეტალურად აღწერა ის, რაც ახსოვს.

როგორც მან მითხრა, გამორიცხავს პირად შურისძიებას. მას არ ჰყავს პირადი მტრები. ასევე გამორიცხავს, მაგალითად, გიორგი ფარესიშვილის მხრიდან რაიმე ტიპის ანგარიშსწორებას. მან თქვა, რომ ეს არის პოლიტიკური მოტივით მასზე თავდასხმა და ეთანხმება ჩემს ვერსიას, რომ ამის უკან დგას კონკრეტული თანამდებობის პირი. გამოძიებისთვის დეტალური ინფორმაციის მიცემას ის აპირებს საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ. მას აქვს გარკვეული ინფორმაციები. ასევე აგროვებს სხვა ინფორმაციებსაც, ამიტომ ვფიქრობ, მისი საბოლოო ჩვენება დეტალების დაზუსტებით ძალიან საინტერესო იქნება, – განაცხადა ელისო კილაძემ.

შს მინისტრის ყოფილ მოადგილე გელა ხვედელიძეს რამდენიმე დღის წინ თავს დაესხნენ. ის ნიუ ჰოსპიტალში იმყოფება, სადაც შსს-ს გამომძიებლებმა დაკითხეს.

# სამართალდამცავებმა ფონიჭალასა და გურჯაანში ნარკორეალიზატორები დააკავეს

სამართალდამცავებმა ფონიჭალასა და გურჯაანში ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ბრალდებით ხუთი პირი დააკავეს.

როგორც შსს-ში გამართულ ბრიფინგზე აღინიშნა, დაკავებულები არიან: 1993 წელს დაბადებული სურამი მ., 1987 წელს დაბადებული, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე რუსლან ი., 1990 წელს დაბადებული არაზ ა., 1983 წელს დაბადებული ელმადინ მ. და 1987 წელს დაბადებული, წარსულში ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევი, ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ნიზადილ გ.



– სამართალდამცველებმა სურამი მ.-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას – 24 შეკვრად დაფასოებული ჰეროინი, არაზ ა.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას – 3,2181 გრ ჰეროინი, ელმადინ მ.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას – 22 შეკვრად დაფასოებული ჰეროინი, ნიზადილ გ.-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას – 23 შეკვრად დაფასოებული ჰეროინი, რუსლან ი.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას კი 3,9872 გრ ჰეროინი და 1,5 გრ ფსიქოტროპული საშუალება „პრეგაბალინი“ ამოიღეს. სულ ამოღებულია დაახლოებით 13 გრამი ჰეროინი.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ხუთივე ბრალდებული ნარკოტიკულ საშუალებას სისტემატურად ყიდდა. პოლიციამ ასევე ამოიღო ნარკორეალიზატორთა მიერ მოქალაქეთათვის მიყიდული 0,6069 გრამი ჰეროინი.

გამოძიება სურამი მ.-ს მიმართ საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის 1-ელი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, რუსლან ი.-ს მიმართ 260-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებით და 261-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, არაზ ა.-ს მიმართ 260-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, ნიზადილ გ.-ს მიმართ 260-ე მუხლის 1-ელი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, ელმადინ მ.-ს მიმართ 260-ე მუხლის მე-3 და მე-5 ნაწილებით მიმდინარეობს, – განაცხადეს შსს-ში.

უწყების ინფორმაციით, შს სამინისტრომ, მთელი საქართველოს მასშტაბით, 2016 წლიდან დღემდე, ნარკოტიკული საშუალებების უკანონო გასაღების ბრალდებით 33 პირი დააკავა.

# ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ბრალდებით ზუგდიდის გამგეობის თანამშრომელი დააკავეს



„ნიუპოსტის“ ინფორმაციით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის დასუფთავების სამსახურის თანამშრომელი რობერტ გამისონია ნარკოტიკის მოხმარების ბრალდებით დააკავეს.

არსებული ინფორმაციით, დაკავების მომენტში ის ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. დასუფთავების სამსახურის უფროსთან ერთად დააკავეს მისი ცოლის ძმა. ამ უკანასკნელს თან 70 აბი სუბოტექსი ჰქონდა.

როგორც „ნიუპოსტს“ უთხრეს, გამისონია გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს, ხოლო მის ცოლის ძმას წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს.

„ნიუპოსტი“ შს სამინისტროს დაუკავშირდა. უწყება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე ერთი პირის დაკავების ფაქტს ადასტურებს. შესაბამისად გამოძიება საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილით მიმდინარეობს.

# ესპანეთში საქართველოს მოქალაქეების დაკავების ღონისძიებაში ქართული მხარეც იყო ჩართული




ესპანეთის პოლიციამ საქართველოს 17 მოქალაქე დააკავა. ამის შესახებ ინფორმაცია ესპანეთის ეროვნული პოლიციის ვებ-გვერდზეა გამოქვეყნებული. ესპანელი სამართალდამცველები ქართველებს ქურდობასა და ყაჩაღობას ედავებიან. არსებული ინფორმაციით, პოლიციამ ქართველები ესპანეთის სხვადასხვა ქალაქში დააკავა.

როგორც „ინტერპრენიუსს“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, საქართველოს 17 მოქალაქე ესპანურმა პოლიციამ 3-4 თვის წინ ჩატარებული საპოლიციო ღონისძიების ფარგლებში დააკავა. შსს-ს ინფორმაციით, აღნიშნულ საპოლიციო ღონისძიებაში, ესპანეთში საქართველოს ატაშეც აქტიურად იყო ჩართული.

# ვაკის პარკთან პატრულის ავტომობილი მეორეს დაეჯახა




ვაკის პარკთან ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, რომელშიც საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები ფიგურირებენ.

სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ვაკის პარკთან პატრულის ერთი ავტომობილი მეორეს დაეჯახა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია.

# მეტეხის ხიდთან ნაპოვნ საეჭვო ჩანთაში ტანსაცმელი აღმოჩნდა




– მეტეხის ხიდთან ნაპოვნ საეჭვო ჩანთაში ტანსაცმელი აღმოჩნდა, – ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ.

როგორც ცნობილია, მეტეხის ხიდთან პოლიცია მუშაობს. ტერიტორიიდან მოქალაქეების ევაკუაცია განხორციელდა. მიზეზი, სავარაუდოდ, მოქალაქის შეტყობინება იყო, რომელიც ტერიტორიაზე ასაფეთქებელი მოწყობილობის არსებობის საფრთხეს შეეხებოდა.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ტრამპმა პუტინს მიუსამძიმრა



პეტერბურგის ტერაქტმა მსოფლიო რეზონანსი იქონია. აშშ-ის პრეზიდენტმა ტრამპმა ცალსახად განაცხადა, რომ საშინელებაა, რაც პეტერბურგის მეტროში მოხდა.

– ტერორიზმს არ შეიძლება გამართლება ჰქონდეს! ტერორისტები მშვიდობიან მოქალაქეებს ხოცავენ! – თქვა ტრამპმა.

პრეზიდენტი თავის რუს კოლეგას ტელეფონით დაუკავშირდა და პუტინს თანაგრძნობა გამოუცხადა.

– აშშ, ისევე, როგორც მთელი ცივილიზებული საზოგადოება, მომხდარით გაოგნებულია, – განაცხადა ტრამპმა.

პუტინმა თავის ამერიკელ კოლეგას მადლობა გადაუხადა. ტრამპი თავის მხრივ დაინტერესდა გამოძიების მიმდინარეობით. პუტინმა უპასუხა, რომ უკვე დადგენილია პიროვნება, ვინც, სავარაუდოდ, პეტერბურგის მეტროს აფეთქება განახორციელა. მისი გვარია ჯალილოვი. ის ყირგიზეთის ქალაქ ოშში დაიბადა. უკვე 10 წელია, რაც რუსეთში ცხოვრობს და რუსეთის მოქალაქეა.

– თავად ჯალილოვი ცოცხალია? – შეეკითხა ტრამპი.

პუტინმა პასუხი არ გასცა. საქმე ისაა, რომ თანახმად ოფიციალური ცნობისა, ჯალილოვი მკვდარია, მაგრამ ზოგიერთი ჟურნალისტი აცხადებს, რომ ცოცხალია. გაზეთმა „კომერსანტმა" გამოაქვეყნა ცნობა, სადაც ნათქვამია, რომ ჯალილოვს დაუკავშირდნენ. ის აცხადებს, რომ ტერაქტთან შეხება არ ჰქონია.

– ჩვენ მზად ვართ, ტერორიზმთან ბრძოლაში დაგეხმაროთ, – განუცხადა პუტინს ტრამპმა.

აშშ-ის პრეზიდენტმა გამოთქვა მზადყოფნა, რომ ამერიკელმა ძალოვნებმა თავიანთ რუს კოლეგებთან ერთად ტერაქტის გამოძიებაში მონაწილეობა მიიღონ.

პუტინის პასუხი საკმაოდ თავშეკავებული იყო. მან აშშ-ის პრეზიდენტს მადლობა გადაუხადა, თუმცა ტრამპის წინადადებაზე არც ჰო უთქვამს და არც – არა.

– დარწმუნებული ვარ, რომ დამნაშავენი აუცილებლად დაისჯებიან, – თქვა დასასრულს ტრამპმა.

# პეტერბურგში ისლამისტების აგენტები დააკავეს



რუსეთის უშიშროებისა და შსს-ს ერთობლივი ოპერაციის შედეგად პეტერბურგში შუა აზიის რესპუბლიკებიდან ჩასული ექვსი მოქალაქე დააკავეს.

მათ ისლამურ სახელმწიფოსთან კავშირში ედებათ ბრალი.

სავარაუდოდ, ისინი ეწეოდნენ მოქალაქეთა გადაბირებას მებრძოლების რიგებში.

# ქიმიური შეტევა სირიაში

სირიის სოფელ ჰან-შეიხუნზე, რომელსაც პარტიზანები აკონტროლებენ, საჰაერო დარტყმა განხორციელდა. სავარაუდოდ, დარტყმა რუსულმა თვითმფრინავებმა მოახდინეს.

დარტყმის შემდეგ სოფლის მცხოვრებთა უმრავლესობამ სულის ხუთვა იგრძნო. როგორც ჩანს, ქიმიური იარაღი გამოიყენეს.

სირიაში ქიმიურ შეტევასთან დაკავშირებით სასწრაფოდ იქნა მოწვეული გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა. სირიელმა პარტიზანებმა ბრალი რუსეთს და დიქტატორ ასადს დასდეს.

– ისინი მშვიდობიანი მოსახლეობის გენოციდს ეწევიან, – ნათქვამია პარტიზანების განცხადებაში.

ქიმიური შეტევის შედეგად დაღუპულია 100 ადამიანი, აქედან 11 ბავშვია.



# ევროპამ უკრაინას მორიგი ტრანში გამოუყო



ევროკავშირმა უკრაინას 600 მილიონი ევროს ტრანში გამოუყო.

ამის თაობაზე პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ განაცხადა.

– ევროპამ ჩვენი ეკონომიკის რეფორმირებისთვის მორიგი ტრანში გამოგვიყო. დიდი მადლობა ჩვენს დასავლელ პარტნიორებს, – ამბობს უკრაინის პრეზიდენტი.



# ვოლოდინი შეშფოთებულია

რუსეთის დუმის სპიკერმა ვოლოდინმა განაცხადა, რომ პეტერბურგის ტერაქტის შემდეგ რუსეთში მდგომარეობა დაიძაბა. მოსახლეობაში შეინიშნება პანიკა. მეტრო და საზოგადოებრივი ტრანსპორტი ცარიელია. მოსახლეობა ცდილობს, პირადი ავტომობილით გადაადგილდეს. ამან უამრავი საცობი წარმოქმნა.

– ამ ფონზე აქტიურდებიან ძალები, რომლებიც პოლიციური რეჟიმის გაძლიერებისა და მუხრუჭების მოჭერისკენ მოგვიწოდებენ. ზოგიერთი იქამდეც კი მივიდა, რომ სტალინიზმის რესტავრაცია მოითხოვა, – ამბობს ვოლოდინი.

რუსეთის დუმის სპიკერმა ხაზი გაუსვა, რომ მუხრუჭების მოჭერა რუსეთს ცუდის მეტს არაფერს მოუტანს, სტალინიზმის რესტავრაცია კი საერთოდ კატასტროფის ტოლფასია.

– თუკი ამ ორიენტაციის ძალებმა თავისი გაიტანეს, რუსეთში ხელისუფლებისა და ქონების ხელახალი გადანაწილება დაიწყება! ეს კი სამოქალაქო ომს ნიშნავს, – ამბობს ვოლოდინი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ასტრახანში 2 ავტოინსპექტორი მოკლეს



ასტრახანში უცნობი პირები ავტოინსპექტორებს თავს დაესხნენ. თავდასხმა ქალაქგარეთ მოხდა.

ავტოინსპექტორებს შეატყობინეს, რომ მოხდა ავარია. როცა ისინი შემთხვევის ადგილზე მივიდნენ, მათ ცეცხლი გაუხსნეს. ორივე ინსპექტორი დაიღუპა.

ასტრახანის გუბერნატორმა მომხდარი ტერაქტად მონათლა და ამაში ბრალი ისლამისტებს დასდო.

– თავდასხმა ავტოინსპექტორებზე ისლამისტი ექსტრემისტების ნახელავია, – განაცხადა მან.

# 70-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ ბრიტანელი ცოლ-ქმარი 4 წუთის ინტერვალით გარდაიცვალა



დიდ ბრიტანეთში მცხოვრები ხანდაზმული ქალბატონი, თავისი მეუღლის გარდაცვალებიდან ოთხ წუთში თავადაც გარდაიცვალა. მათი ქორწინება 70-ზე მეტი წლის მანძილზე გრძელდებოდა.

გარდაცვალების მომენტისთვის წყვილი ერთმანეთს დაშორებული იყო: უილფ რასელი 93 წლის მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი, ლესტერშირის საგრაფოში მოხუცებულთა სახლში ცხოვრობდა „ჭკუასუსტობის" დიაგნოზით, რომელიც მას ერთი წლის წინ დაუდგინეს, ხოლო 91 წლის ვერა რასელი მიმდინარე წლის იანვრიდან საავადმყოფოში იმყოფებოდა.

წყვილის ნათესავების თქმით, ქალის ჯანმრთელობის მდგომარეობა მას შემდეგ წავიდა გაუარესებისკენ, როდესაც მისი მეუღლე პროგრესირებადი ავადმყოფობის გამო შეხვედრის დროს ველარ ცნობდა.

ადგილობრივი დროით 6:50 საათზე უილფი მოხუცებულთა სახლში გარდაიცვალა, ხოლო მისგან სამი მილით დაშორებული ლესტერის სამეფო საავადმყოფოში მყოფი ვერა 6:54 საათზე. ის, რომ მისი მეუღლე ცოცხალი აღარ იყო, მას არ გაუგია.

უილფი 18 წლის იყო, როდესაც 16 წლის თავის მომავალ მეუღლეზე დაინიშნა, მაგრამ მათ დაქორწინება მხოლოდ 1945 წლის 5 სექტემბერს მოახერხეს, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

## გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 280 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

## მკურნალობა

● პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ სქესობრივ უძლურებას; სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, მამაკაცებში მკურნალობაში ვიყენებთ სათანადო აპარატურასა და სქესობრივი კავშირის დასამყარებელ საიმედო „ერექტორებს". კონსულტაცია უფასოა. ტელ: 2 99 95 33; 593 60 60 44.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ტორპედო დილას დაუზავდა, ლოკომოტივმა იოლად იმარჯვა

**ტორპედო-დილა 1:1**

**ქუთაისი.** რამაზ შენგელია

1:0 საბანაძე (62), 1:1 კირკიტაძე (86)

**ტორპედო:** რ.კვასხვაძე, ხურცილავა, ადამაძე, გურული, ქიმაძე, გიგაური (ჭიჭინაძე 66), კუხიანიძე, დოლიძე (ნ.კვასხვაძე 82), მახარობლიძე, კაპანაძე (მამასახლისი 59), საბანაძე

**დილა:** მუჯირიშვილი, გაგოშიძე, კვახაძე, რომარიკ პრესლი (ფოფხაძე 83), აბუბაკარი, რაზმაძე, წიქარიძე, ნონიკაშვილი (კირკიტაძე 46), ძარია (მათიაშვილი 78), ჟოაკიმ რიბეირო, ტარავალიე

როგორც მოსალოდნელი იყო, მატჩი დაძაბული გამოდგა. ორივე გუნდი ქულების დეფიციტს განიცდიდა და გამარჯვებას ლამობდა.

პირველ ტაიმში თამაში საკმაოდ მაღალ ტემპში წარიმართა. მასპინძლებმა 4-4-2 სათამაშო სქემას მიმართეს და მეტოქესთან შედარებით ხშირად უტევდნენ. დილას კართან პირველი საგოლე მომენტი მე-9 წუთზე შეიქმნა. გიორგი ქიმაძემ სწრაფად შეუტია მარცხენა ფლანგიდან და ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც თორნიკე კაპანაძე დაუხვდა და დაარტყა კიდეც, მაგრამ მცველმა დაუფარა და ბურთი კუთხურზე გადავარდა. კუთხური გრიგოლ დოლიძემ შეასრულა, რომლის შემდეგ გურამ ადამაძემ მაღალ ნახტომში, თავურით გაგზავნა ბურთი კარისკენ, მაგრამ ჩარჩოს მცირედით ააცილა.

ამის შემდეგ მდგომარეობა გორელთა კართან 25-ე წუთზე დაიძაბა. ბიძინა მახარობლიძის მიერ მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდებულს დოლიძემ ძლიერი დარტყმა შეაგება, თუმცა მიზანში ვერ მოახვედრა. მალევე სტუმრებმა განახორციელეს სწრაფი იერიში, ირაკლი ძარია ცდილობდა გატანას, მაგრამ მანაც არაზუსტად დაარტყა. 43-ე წუთზე მასპინძლებმა ზედიზედ ორი შეტევა მიიტანეს მეტოქის კარზე, ოღონდ მიხეილ მუჯირიშვილმა ჯერ კაპანაძეს აუღო ახლოდან, მახვილი კუთხიდან დარტყმული, შემდეგ კი ქიმაძესაც არ გაატანინა.

შესვენების შემდეგ კარგა ხანს ინიციატივას გორელები ფლობდნენ. 47-ე და 50-ე წუთებზე მასპინძლები ხიფათს გადაურჩნენ. თენგიზ წიქარიძის შორეული გასროლის შემდეგ ბურთი მიზანს აცდა, ხოლო ჟოაკიმ რიბეიროს ახლოდან დარტყმულზე როინ კვასხვაძემ იყოჩაღა.

62-ე წუთზე ანგარიში გაიხსნა და ეს ტორპედოელებმა მოახერხეს. დოლიძის მიერ მარჯვნიდან ჩაწოდებულ ბურთს მეკარის ბაქანთან მყოფი ნიკა საბანაძე მაღალ ნახტომში მისწვდა და მუჯირიშვილი უშანსოდ დარჩა.

მასპინძლებს მეორე გოლის გატანაც მართებდათ. ამ შემთხვევაში მათი გამარჯვება ეჭვის ქვეშ, ალბათ, არ დადგებოდა. 80-ე წუთზე გორელთა მეკარისა და მცველის წინააღმდეგ ერთბაშად 5 ტორპედოელი აღმოჩნდა, თუმცა საუცხოო შანსი გაიფლანგა. მუჯირიშვილმა მახარობლიძის დარტყმულზე რეაგირება მოასწრო, მერე კი მეკარეს მალხაზ გაგოშიძე დაეხმარა.

ქუთაისელები მალე დაისაჯნენ გამოუყენებელი შესაძლებლობისათვის. საკმარისი გახდა დაცვაში ყურადღების ოდნავ მოდუნება და დილამ ანგარიში გაათანაბრა. გოლის ავტორი კი ექსტორპედოელი დათო კირკიტაძე შეიქნა.

**კოლხეთი-ლოკომოტივი 0:5**

**ქობულეთი.** ჩელე არენა

0:1, 0:2 გავაშელიშვილი (16, 60), 0:3, 0:4 სიხარულიძე (64, 81), გავაშელიშვილი (88)

**კოლხეთი:** შერმადინი, კილასონია, გოგონაია, კერძევაძე, დაფე, ოტიენო (ლუკავა 33), ჯანელიძე, ჟიშკარიანი, კოვტალიუკი, კორობკა, ბოლქვაძე (ბუხაიძე 67)

**ლოკომოტივი:** ქურდაძე, ჭანტურია, სიხარულიძე, ნ.ქავთარაძე, გავაშელიშვილი, კიკნაძე (ჩიტეიშვილი 57), ღონღაძე, რეხვიაშვილი, უბილავა, სამურკასოვი (გაბაძე 72), არდაზიშვილი (არველაძე 65)

**გაძევება:** ბუხაიძე (86)

კოლხეთმა წინა ტურში შესანიშნავი მატჩი შემოგვთავაზა, ამიტომაც ასეთ მარცხს არავინ ელოდა. მით უფრო, რომ კოლხეთს ამ ტურამდე ყველაზე მეტი გოლი ჰქონდა გატანილი მეტოქეთა კარში.

ლოკომოტივმა კი ჩინებულად ითამაშა და მასპინძლები უშანსოდ დატოვა. გიორგი დევდარიანის შეგირდებმა მეტოქეს პირწმინდად აჯობეს და გატანილი გოლების გარდა, კიდევ რამდენიმე ასპროცენტიანი მომენტი ვერ გამოიყენეს. სტუმართა გამარჯვებაში ლომის წილი მამია გავაშელიშვილმა და ირაკლი სიხარულიძემ დაიდეს. გავაშელიშვილმა წინა ტურში ფოთელი კოვტალიუკის ჰეთ ტრიკი გაიმეორა, რომელიც სეზონში მეორეა, ხოლო სიხარულიძემ სეზონში თავისი მეორე დუბლი გაიფორმა.

კოლხეთი კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, მხოლოდ გელა სანაიას გუნდს მოკლე სათადარიგოთა სკამი აქვს და ეს უქმნის პრობლემებს. ასე მოხდა ამჯერადაც, რადგან სანაიამ პირველივე ტაიმში იძულებითი შეცვლა განახორციელა, რადგან კენიელი მარცხენა მცველი ერიკ ოტიენო დაშავდა და მისი შეცვლის შემდეგ ფოთელები ამ ფლანგზე უშანსოდ დარჩნენ.



მე-16 წუთზე, მარჯვენა ფრთიდან გიორგი კიკნაძემ ჩააწოდა, სადაც გავაშელიშვილმა მეკარეს დაასწრო და ანგარიში გახსნა – 0:1.

მალევე გავაშელიშვილმა კიდევ ერთი რეალური შანსი გაუშვა ხელიდან, შემდეგ მომენტი სიხარულიძემ გაანივა და მაინც მათ მოუხდათ გოლების გატანა, მხოლოდ ეს შესვენების შემდეგ მოხდა.

მე-60 წუთზე ღონღაძე-ქავთარაძის კომბინაცია გავაშელიშვილმა დაასრულა, ხოლო მალევე ისევ ღონღაძის წამოწყებული შეტევა გავაშელიშვილმა გააგრძელა და სიხარულიძეს გაატანინა – 0:3 და მატჩიც აქ მორჩა...

გავაშელიშვილმა მეოთხე გოლშიც მიიღო მონაწილეობა – ლოკომოტიველთა ფორვარდმა ქავთარაძე მოძებნა, რომელმაც საჯარიმოში ბურთი სიხარულიძეს შეაყოლა – 0:4.

მატჩის მიწურულს კოლხეთი 10 კაცით დარჩა, რადგან ქურდაძესთან კამათისთვის შეცვლაზე შესულმა გიორგი ბუხაიძემ წითელი ბარათი მიიღო, ხოლო ლოკომოტივის მეკარეს ყვითელი აკმარეს.

შეხვედრაში წერტილი გავაშელიშვილმა დასვა, რომელიც საჯარიმოში გაიხსნა და დავით უბილავას პასის შემდეგ, მცველსაც დაასწრო და კარიდან გამოსულ მეკარესაც, რის შემდეგ ბურთი ბადეში გადაგზავნა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლოკომოტივი | 5 | 3 | 1 | 1 | 10-4 | 10 |
| 2.საბურთალო | 4 | 3 | 0 | 1 | 4-4 | 9 |
| 3.ჩიხურა | 4 | 2 | 1 | 1 | 4-2 | 7 |
| 4.დინამო (თბ) | 4 | 2 | 0 | 2 | 4-3 | 6 |
| 5.ტორპედო | 5 | 1 | 3 | 1 | 5-5 | 6 |
| 6.დინამო (ბთ) | 4 | 2 | 0 | 2 | 3-3 | 6 |
| 7.კოლხეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 8-10 | 6 |
| 8.დილა | 5 | 1 | 2 | 2 | 3-4 | 5 |
| 9.სამტრედია | 4 | 1 | 1 | 2 | 2-4 | 4 |
| 10.შუქურა | 4 | 0 | 2 | 2 | 5-9 | 2 |

# ყვითელაშვილმა პირველი ოლიმპიური ლიცენზია მოიპოვა, ერთის მსაჯებმა წაგვართვეს




მორის საქართველოს 2018 წლის ოლიმპიური თამაშების პირველი ლიცენზია მოუპოვა. ეს ჰელსინკში გამართულ ფიგურულ ციგურაობაში 2017 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე გაირკვა, სადაც ყვითელაშვილმა ჩემპიონატზე მე-13 ადგილი დაიკავა.

თუმცა, ქართველი სპორტსმენის გამოსვლა უფრო მაღალი ადგილით უნდა შეფასებულიყო და ამას რუსი ჟურნალისტებიც კი აღიარებენ.

ერთ-ერთი რუსული გამოცემის ჟურნალისტი ალექსეი ფილიპენკო მიიჩნევს, რომ მორის ყვითელაშვილის მიმართ მსაჯების მიერ დაშვებული შეცდომები ყველაზე ცხადად ჩანს.

**ალექსეი ფილიპენკო:**

– ფიგურულ ციგურაობაში მსაჯების შეფასებები ყოველთვის კრიტიკის საგანი ხდება. მიმდინარე წლის მსოფლიო ჩემპიონატზე კი მსაჯებმა არაერთი თვალსაჩინო შეცდომა დაუშვეს ქართველი მოციგურავის, მორის ყვითელაშვილის მიმართ. ყვითელაშვილს, რომელმაც 2 პროგრამაში 4 ოთხმაგი ტულუპი შეასრულა, იმაზე დაბალი ქულები აქვს, ვიდრე უზბეკ მიშა გეს, რომელსაც ოთხმაგი ტულუპი საერთოდ არ შეუსრულებია.

თუ მინიმალურად შევაფასებთ, მორის ყვითელაშვილი თავისი გამოსვლით საუკეთესო ათეულში უნდა მოხვედრილიყო, თუ ქულებს სამართლიანად დავითვლით, ქართველ მოციგურავეს მსოფლიო ჩემპიონატი მე-8 ადგილზე უნდა დაესრულებინა. თუმცა ამ შემთხვევაში საქართველოს ოლიმპიურ თამაშებზე 2 კვოტა მიეცემოდა და გერმანიისთვის, ჩეხეთისა და საფრანგეთისთვის ადგილი აღარ დარჩებოდა. ამ შემთხვევაში კი ჩვენ არა მხოლოდ უძლიერესი მოციგურავეების, არამედ ფედერაციების დაპირისპირებას ვხვდებით.

თუმცა ყველაზე საწყენი ის არის, რომ მორისს სარეიტინგო ქულები აკლდება, რაც მომდევნო სეზონში მის ადგილს განსაზღვრავს. ყვითელაშვილს კი მინდა ვუსურვო, რომ განაგრძოს თავისი პოტენციალის ჩვენება და მიკერძოებული და უსამართლო მსაჯები სწორედ ასე განაიარაღოს.

# ფაჩულიას და გოლდენ სტეიტის მორიგი გამარჯვება



გოლდენ სტეიტ უორიორსმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა და კიდევ უფრო მიუახლოვდა დასავლეთ კონფერენციის მოგებას, რაც პლეი ოფში ნებისმიერ მეტოქესთან მოედნის უპირატესობის გარანტიაა. ოკლენდელებმა მინესოტა ტიმბერვულვსს უმასპინძლეს და 121:107 დაამარცხეს.

გამარჯვებულებს ულიდერა კლეი ტომპსონმა, რომელმაც ოკლენდელთაგან ყველაზე მეტი – 41 ქულა მოაგროვა. რაც შეეხება მოხსნებს, ამაში საუკეთესო ქართველი ცენტრი გახლდათ. ზაზა ფაჩულია ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში იყო და 19 წუთი დასჭირდა, გოლდენსტეიტელთაგან ყველაზე მეტი – 7 მოხსნა რომ მოეხვეჭა. ფაჩულიამ 5-დან 3 ორქულიანი ჩააგდო და შეხვედრა 6 ქულითა და 7 მოხსნით დაასრულა.

64 მოგებით გოლდენ სტეიტი პირველ ადგილზეა როგორც დასავლეთ კონფერენციაში, ისე ლიგაში. რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე ოკლენდელებს დარჩენილი აქვთ 5 მატჩი, ხოლო მდევარ სან ანტონიოს 4 მოგებით ნაკლები და 3 წაგებით მეტი აქვს.

მომდევნო შეხვედრა ფაჩულიას გუნდს სტუმრად ფინიქს სანსთან ელის.

# დევისის თასზე საქართველო ლიტვას დაუხვდება




დევისის თასის ევრო-აფრიკული ზონის, მეორე ჯგუფის მატჩი 2017 წლის 7-9 აპრილს მზიურში მდებარე საჩოგბურთო კორტებზე საქართველოს და ლიტვის ნაკრებს შორის გაიმართება.

საქართველოს ნაკრები: ნიკოლოზ ბასილაშვილი, გიორგი ცივაძე, ზურა ტყემალაძე, ვაჟა შუბლაძე; გუნდის კაპიტანი – დავით კვერნაძე;

ლიტვის ნაკრები: ლაურინას გრიგელისი, ტადას ბაბელისი, ლუკას მუგევიჩუსი, ტომას ვაისე; გუნდის კაპიტანი – რიმვიდას მუგევიჩუსი;

შეხვედრები 7-9 აპრილს მზიურში მდებარე საჩოგბურთო კორტებზე გაიმართება.

ამჯერად დევისის თასის გათამაშება ძველი ფორმატით ჩატარდება, ანუ 3 დღეს გაგრძელდება. ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის საბჭომ წინასწარ შეთანხმებას მიაღწია დევისის თასის მატჩების ფორმატის შეცვლაზე და ახალი გადაწყვეტილების თანახმად, მატჩები არა 3, არამედ 2 დღეს გაგრძელდება.

ასევე გადაწყვიტეს, რომ თამაშები იყო 2 სეტის მოგებამდე. წინა ფორმატის მიხედვით, მატჩის მოსაგებად 3 სეტის აღება იყო საჭირო.

ახალი ფორმატის დამტკიცება 2017 წლის აგვისტოში უნდა მოხდეს, ხოლო ძალაში 2018 წლიდან შევა.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# შედეგები

**4 აპრილი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბარნლი-სტოკი ................................ 1:0
ლესტერი-სანდერლენდი ................ 2:0
უოტფორდი-ვესტ ბრომვიჩი .......... 2:0
მანჩესტერი-ევერტონი .................. 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 29 | 22 | 3 | 4 | 60-23 | 69 |
| 2.ტოტენჰემი | 29 | 18 | 8 | 3 | 57-21 | 62 |
| 3.ლივერპული | 30 | 17 | 8 | 5 | 64-37 | 59 |
| 4.სიტი | 29 | 17 | 7 | 5 | 56-32 | 58 |
| 5.მანჩესტერი | 29 | 14 | 12 | 3 | 43-24 | 54 |
| 6.არსენალი | 28 | 15 | 6 | 7 | 58-36 | 51 |
| 7.ევერტონი | 31 | 14 | 9 | 8 | 53-34 | 51 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 31 | 12 | 8 | 11 | 39-40 | 44 |
| 9.უოტფორდი | 30 | 10 | 7 | 13 | 36-48 | 37 |
| 10.ლესტერი | 30 | 10 | 6 | 14 | 37-47 | 36 |
| 11.სტოკი | 31 | 9 | 9 | 13 | 33-45 | 36 |
| 12.ბარნლი | 31 | 10 | 5 | 16 | 32-44 | 35 |
| 13.საუთჰემპტონი | 28 | 9 | 7 | 12 | 33-36 | 34 |
| 14.ბორნმუთი | 30 | 9 | 7 | 14 | 42-54 | 34 |
| 15.ვესტ ჰემი | 30 | 9 | 6 | 15 | 41-54 | 33 |
| 16.კრ.პალასი | 29 | 9 | 4 | 16 | 38-47 | 31 |
| 17.სუონსი | 30 | 8 | 4 | 18 | 36-63 | 28 |
| 18.ჰალი | 30 | 7 | 6 | 17 | 28-59 | 27 |
| 19.მიდლსბრო | 29 | 4 | 11 | 14 | 20-33 | 23 |
| 20.სანდერლენდი | 30 | 5 | 5 | 20 | 24-53 | 20 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ასტონ ვილა-ქპრ ................................ 1:0
ბარნსლი-კარდიფი .......................... 0:0
ბრენტფორდი-ლიდსი ...................... 2:0
დერბი-ფულემი ................................ 4:2
იფსვიჩი-უიგანი .............................. 3:0
პრესტონი-ბრისტოლი ...................... 5:0
როტერჰემი-უენსდი ........................ 0:2
ვულვზი-ნოტინგემი .......................... 1:0
ბრაიტონი-ბირმინგემი .................... 3:1
რედინგი-ბლექბერნი ........................ 3:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ბილბაო-ესპანიოლი ........................ 2:0
ატლეტიკო-სოსიედადი .................. 1:0
ბეტისი-ვილიარეალი ...................... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 28 | 21 | 5 | 2 | 74-28 | 68 |
| 2.ბარსელონა | 29 | 20 | 6 | 3 | 85-26 | 66 |
| 3.ატლეტიკო | 30 | 18 | 7 | 5 | 55-23 | 61 |
| 4.სევილია | 29 | 17 | 7 | 5 | 52-34 | 58 |
| 5.ვილიარეალი | 30 | 14 | 9 | 7 | 42-23 | 51 |
| 6.ბილბაო | 30 | 15 | 5 | 10 | 39-33 | 50 |
| 7.სოსიედადი | 30 | 15 | 4 | 11 | 43-41 | 49 |
| 8.ეიბარი | 29 | 12 | 8 | 9 | 47-41 | 44 |
| 9.ესპანიოლი | 30 | 11 | 10 | 9 | 42-42 | 43 |
| 10.სელტა | 28 | 12 | 5 | 11 | 43-46 | 41 |
| 11.ალავესი | 29 | 10 | 10 | 9 | 29-36 | 40 |
| 12.ლას პალმასი | 29 | 9 | 8 | 12 | 45-48 | 35 |
| 13.ვალენსია | 29 | 9 | 6 | 14 | 41-51 | 33 |
| 14.ბეტისი | 30 | 8 | 7 | 15 | 32-47 | 31 |
| 15.მალაგა | 29 | 6 | 9 | 14 | 33-47 | 27 |
| 16.დეპორტივო | 29 | 6 | 9 | 14 | 31-46 | 27 |
| 17.ლეგანესი | 29 | 6 | 9 | 14 | 23-42 | 27 |
| 18.ხიხონი | 29 | 5 | 7 | 17 | 31-57 | 22 |
| 19.გრანადა | 29 | 4 | 7 | 18 | 26-62 | 19 |
| 20.ოსასუნა | 29 | 1 | 8 | 20 | 29-69 | 11 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

დორტმუნდი-ჰამბურგი .................... 3:0
კიოლნი-აინტრახტი .......................... 1:0
ვერდერი-შალკე ................................ 3:0
ჰოფენჰაიმი-ბაიერნი ........................ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 27 | 20 | 5 | 2 | 67-14 | 65 |
| 2.ლაიპციგი | 26 | 16 | 4 | 6 | 47-28 | 52 |
| 3.ჰოფენჰაიმი | 27 | 13 | 12 | 2 | 50-26 | 51 |
| 4.დორტმუნდი | 27 | 14 | 8 | 5 | 58-28 | 50 |
| 5.კიოლნი | 27 | 10 | 10 | 7 | 39-31 | 40 |
| 6.ჰერტა | 26 | 12 | 4 | 10 | 35-33 | 40 |
| 7.აინტრახტი | 27 | 10 | 7 | 10 | 26-28 | 37 |
| 8.ვერდერი | 27 | 10 | 5 | 12 | 42-46 | 35 |
| 9.ფრაიბურგი | 26 | 10 | 5 | 11 | 34-47 | 35 |
| 10.შალკე | 27 | 9 | 7 | 11 | 33-31 | 34 |
| 11.გლადბახი | 26 | 9 | 6 | 11 | 30-34 | 33 |
| 12.ლევერკუზენი | 26 | 9 | 5 | 12 | 40-43 | 32 |
| 13.ვოლფსბურგი | 26 | 8 | 6 | 12 | 26-37 | 30 |
| 14.ჰამბურგი | 27 | 8 | 6 | 13 | 26-50 | 30 |
| 15.მაინცი | 26 | 8 | 5 | 13 | 34-43 | 29 |
| 16.აუგსბურგი | 26 | 7 | 8 | 11 | 24-40 | 29 |
| 17.ინგოლშტადტი | 26 | 6 | 4 | 16 | 25-43 | 22 |
| 18.დარმშტადტი | 26 | 4 | 3 | 19 | 17-51 | 15 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ჰანოვერი-ნიურნბერგი .................... 1:0
ზტ.პაული-ზანდჰაუზენი .................. 0:0
კარლსრუე-ვიურცბურგი .................. 1:1
არმინია-დიუსელდორფი .................. 2:1

**იტალია. თასი**

რომა-ლაციო .................................... 3:2

**იტალია. სერია ბ**

ბარი-ლატინა .................................... 2:0
ბენევენტო-ტერნანა .......................... 2:1
ვერონა-სპეცია ................................ 0:1
ენტელა-ასკოლი ................................ 2:1
ვიჩენცა-ტრაპანი .............................. 0:1
კარპი-პრო ვერჩელი .......................... 0:0
პერუჯა-პიზა .................................... 2:2
სალერნიტანა-ჩიტადელა .................. 0:0
სპალი-ნოვარა .................................. 2:0
ჩეზენა-ბრეშა .................................... 1:1

**ჰოლანდია. ეიდივიზიონი**

ექსელსიორი-უტრეხტი ...................... 1:3
ჰერენვენი-სპარტა ............................ 3:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

აბერდინი-ინვერნესი ........................ 1:0
როსი-დანდი .................................... 2:1

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*



# როგორ ვუმკურნალოთ სიმსუქნეს

ეკა ირემაშვილი

სიმსუქნე ეს არის პოლიეტიოლოგიური დაავადება, რომელიც მოიცავს გენეტიკურ, ენდოკრინულ, მეტაბოლურ, საყოფაცხოვრებო, ქცევით და ფსიქოლოგიურ ფაქტორებს, რომელთა ზეგავლენით, მიღებული ენერგია სჭარბობს დახარჯული ენერგიის რაოდენობას და ხდება სხეულის მასის მატება.

XX-XXI საუკუნის გასაყარზე მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ მორბიდული სიმსუქნე აღიარებულია არაინფექციური ეტიოლოგიის მსოფლიო ეპიდემიად. იგივე ორგანიზაციის დღევანდელი მონაცემებით, მსოფლიოში არსებობს 1,7 მილიარდი ჭარბწონიანი ადამიანი, რომელთა თითქმის 10% დაავადებულია მორბიდული სიმსუქნით.

როგორ ვუმკურნალოთ სიმსუქნეს, რას ნიშნავს მორბიდული სიმსუქნე და როგორ ხდება სიმსუქნის დადგენა, ამ თემებზე მედიცინის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, კლინიკა ინოვას ზოგადი და ბარიატრიული ქირურგიის განყოფილების გამგე, ხმელთაშუა ზღვის და ახლო აღმოსავლეთის ენდოსკოპისტ ქირურგთა ასოციაციის მე-14 მოწვევის პრეზიდენტი დავით აბულაძე საუბრობს.




**დავით აბულაძე:**

***– XX-XXI საუკუნის გასაყარზე მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ მორბიდული სიმსუქნე აღიარებულია არაინფექციური ეტიოლოგიის მსოფლიო ეპიდემიად. იგივე ორგანიზაციის დღევანდელი მონაცემებით, მსოფლიოში არსებობს 1,7 მილიარდი ჭარბწონიანი ადამიანი, რომელთა თითქმის 10% დაავადებულია მორბიდული სიმსუქნით.***

***– როგორ ხდება ჭარბი წონის განსაზღვრა?***

– ჭარბწონიანობის ძირითადი განმსაზღვრელი კრიტერიუმია სხეულის მასის ინდექსი, რომელიც წარმოადგენს სხეულის მასის განაწილებას სხეულის ფართობზე.

მისი გაანგარიშება ხდება შემდეგი ფორმულით: სხეულის მასის ინდექსი = კგ : მ2. მაგალითად, თუ ადამიანი არის 180 სანტიმეტრი სიმაღლის და იწონის 85 კილოგრამს, მისი სხეულის მასის ინდექსი = 85 : 1,8X1,8 = 85 : 3,24 = 26,2.

**წონის მაჩვენებლის საერთაშორისოდ აღიარებული ნორმებია:**

სმი

**18.5-ზე ნაკლები** – ნაკლულ წონიანი,
**18.5-დან 24.99-მდე** – ნორმალური წონის,
**25-დან 29.99-მდე** – ჭარბწონიანი,
**30-დან 34.99-მდე** – I ხარისხის სიმსუქნე,
**35-დან 35.99-მდე** – II ხარისხის სიმსუქნე,
**40-დან ზემოთ** – პათოლოგიური, ანუ მორბიდული სიმსუქნე.

***– რა არის სიმსუქნე?***

– სიმსუქნე – ეს არის პოლიეტიოლოგიური დაავადება, რომელიც მოიცავს გენეტიკურ, ენდოკრინულ, მეტაბოლურ, საყოფაცხოვრებო, ქცევით და ფსიქოლოგიურ ფაქტორებს, რომელთა ზეგავლენით, მიღებული ენერგია ჭარბობს დახარჯული ენერგიის რაოდენობას და ხდება სხეულის მასის მატება.

***– როგორ ებრძვიან სიმსუქნეს ქირურგები?***

– ქირურგია მოიაზრება როგორც „ბრძოლის ფრონტის ბოლო ხაზი", რომელსაც მიმართავენ მხოლოდ იმ შემთხვევებში:

თუ მრავალმხრივი კომპლექსური მკურნალობა – ე.წ. დიეტოთერაპია არაეფექტურია, ან ვერ ხერხდება მიღებული ეფექტის ხანგრძლივი დროით შენარჩუნება.

თუ წინასწარ ცნობილია, რომ პაციენტის კვებითი ქცევა და ფსიქოლოგია იმდენად გაუკუღმართებულია, რომ შეუძლებელია ხანგრძლივი ნებაყოფლობითი დიეტოთერაპია.

ორივე შემთხვევაში ვითარდება პათოლოგიური სიმსუქნე, როდესაც სხეულის მასის მაჩვენებელი აღემატება 40-ს და უნდა დაისვას ქირურგიული მეთოდებით მკურნალობის საკითხი.

***– რა არის ბარიატრიული ქირურგია?***

– ბარიატრიული ქირურგია ეს არის პათოლოგიური სიმსუქნის მულტიდისციპლინარული მკურნალობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება და, შესაბამისად, ბარიატრიულ პაციენტებს მკურნალობს სპეციალისტთა გუნდი, რომლის შემადგენლობაში შედიან ქირურგი, ენდოკრინოლოგი, ანესთეზიოლოგი, კარდიოლოგი, დიეტოლოგი, ფსიქოთერაპევტი და გასტროენტეროლოგი.

***– როდის არის მიზანშეწონილი ბარიატრიული ოპერაცია?***

– ბარიატრიული ოპერაცია მიზანშეწონილია იმ შემთხვევებში, როდესაც სხეულის მასის ინდექსი აღემატება 40-ს ან მეტია 35-ზე და აღინიშნება ჭარბწონიანობით გამოწვეული რომელიმე სომატური დაავადება.

არსებობს ლაპაროსკოპიული ქირურგიული მკურნალობის ორი ძირითადი მიმართულება – რესტრიქციული და მალაბსორბციული. ასევე, შემუშავებულია კომბინირებული ოპერაციები, რომლებიც მოიცავენ ორივე მეთოდისთვის დამახასიათებელ ნიშნებს.

## კალეიდოსკოპი

## ცხოველთა დამცველები სასაკლაოდან გაქცეული ძროხების დაცვას აპირებენ



ცხოველების დამცველებმა თანხა შეაგროვეს იმ ძროხების გადასარჩენად, რომლებიც სასაკლაოდან გაიქცნენ. ეს შემთხვევა ამერიკის მისურის შტატში მოხდა.

ძროხები რამდენიმე საათის განმავლობაში წარმატებით ემალებოდნენ მდევრებს სენტ-ლუისის ქუჩებში. ხოლო ერთ-ერთი ძროხის სიმტკიცემ, რომლის დაჭერას თითქმის ოთხი საათის განმავლობაში ვერ ახერხებდნენ, ხალხში დიდი თანაგრძნობა გამოიწვია. ცხოველთა დამცველებმა მოუწოდეს, რომ გაქცეული ძროხები არ დახოცონ.

– ეს ძალიან სამწუხაროა. ისინი ხომ უბრალოდ სიკვდილს გაურბოდნენ, – განაცხადა ცხოველთა დაცვის ნიუ-იორკის ორგანიზაციის თავმჯდომარემ სიუზი კოსტონმა და რომელმაც წინადადება წამოაყენა, რომ ძროხები მის ფერმაში გადაიყვანონ, რომელიც ცხოველების გადარჩენას ემსახურება.

ცხოველების სასაკლაო მათ განთავისუფლებას მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდა, თუ თითოეულ ძროხაში დაახლოებით ორი ათას დოლარს გადაუხდიდნენ. აქტივისტებმა ინტერნეტის დახმარებით დაიწყეს თანხის შეგროვება. სამ დღეში 600-მდე ადამიანმა საერთო ჯამში 16 ათასი დოლარი გაიღო გაქცეული ძროხების გადასარჩენად.

## მეცნიერებმა ყველაზე მტირალა ბავშვების ქვეყნები დაასახელეს

ბრიტანელმა ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ დიდ ბრიტანეთში, იტალიაში, ჰოლანდიასა და კანადაში ახალშობილები უფრო ხშირად და დიდხანს ტირიან, ვიდრე დანიაში, გერმანიასა და იაპონიაში.

მეცნიერებმა ერთმანეთს შეუფარდეს 8700 ახალშობილზე დაკვირვების შედეგები, რომლებიც განხორციელდა გერმანიაში, დანიაში, იაპონიაში, კანადაში, იტალიაში, ჰოლანდიასა და დიდ ბრიტანეთში.

მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ახალშობილები პირველი ორი კვირის განმავლობაში საშუალოდ დღე-ღამეში ორი საათის მანძილზე ტირიან. შემდეგ ტირილის ხანგრძლივობა იზრდება და ექვსი კვირისთვის დღე-ღამეში ორ საათსა და 15 წუთს აღწევს. ამის შემდეგ ისინი ნაკლებად ტირიან. 12 კვირის ასაკში ბავშვი საშუალოდ ერთი საათისა და 10 წუთის მანძილზე ტირის.

მკვლევარები ასევე აღნიშნავენ მნიშვნელოვან გადახრას საშუალო მაჩვენებლისგან.



ზოგიერთი ახალშობილი დღეღამეში 30 წუთზე მეტი დროის მანძილზე არ ტირის, მაშინ როდესაც, სხვას ხუთი საათიც არ ჰყოფნის. განსხვავება ძირითადად ქვეყანაზეა დამოკიდებული, რომელშიც ახალშობილია დაბადებული. კერძოდ, კანადაში ახალშობილების რაოდენობა, რომლებიც კვირაში მინიმუმ სამი დღის მანძილზე სამ საათზე მეტხანს ტირიან, 34,1 პროცენტს შეადგენს. იგივე მაჩვენებელი დანიაში 5,5 პროცენტს არ აღემატება.

## დაკარგული კენიელი ტაქსის მძღოლი მისი გასვენების დღეს მთვრალი ნახეს

დაკარგული კენიელი ტაქსის მძღოლის დაკრძალვის ცერემონია მას შემდეგ გააუქმეს, როდესაც ის მეზობელ ქალაქში მთვრალ მდგომარეობაში მყოფი აღმოაჩინეს.

კენიელი მოტოტაქსისტი უილსონ ოლუოკი სამი კვირის განმავლობაში სახლში არ დაბრუნებულა. როდესაც მისი მშობლიური სოფლის მახლობლად შაქრის ლერწმის პლანტაციაში მკვდარი მამაკაცის ცხედარი აღმოაჩინეს, ნათესავებმა ის უილსონისად მიიჩნიეს და მისი დაკრძალვის სამზადისს შეუდგნენ.



როდესაც საფლავი გათხარეს, მათ შეიტყვეს, რომ ვიღაცას დაკარგული ტაქსის მძღოლი ქალაქ რონგოში შეუმჩნევია. ნათესავები მითითებულ მისამართზე გაემგზავრნენ და მათ უილსონი მართლაც იქ დახვდათ. ის ადგილობრივ ბარში უგონოდ მთვრალ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

დაკარგულმა მამაკაცმა განმარტა, რომ რამდენიმე კვირის წინ სახლში მთვრალი დაბრუნდა. ამის გამო მას შერცხვა და ამიტომ გადაწყვიტა, სახლიდან წასულიყო და ახალი ცხოვრება დაეწყო.

გახარებულმა ნათესავებმა დაკრძალვა გააუქმეს და მის მაგივრად ზეიმი მოაწყვეს. თუმცა მას სოფელში მხოლოდ მას შემდეგ შეუშვებენ, როდესაც გაწმენდის პროცედურას გაივლის. პლანტაციაში ნაპოვნი მამაკაცის ცხედარი პროზექტურას გადასცეს. მისი ვინაობა კი დაუდგენელია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ასტროპროგნოზი

### 6 აპრილისათვის



**ვერძი** – ოჯახში ჰარმონიული ატმოსფერო სუფევს. მატერიალური მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება. **კურო** – ჯანმრთელობაზე იზრუნეთ. ერიდეთ კამათსა და საქმის გარჩევებს. მიიღეთ მხოლოდ მსუბუქი საკვები. **ტყუპები** – ფინანსური მდგომარეობა არასტაბილურია. წვრილმანებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ. დაბრკოლებების გადალახვაში მეგობრები დაიხმარეთ. **კირჩხიბი** – იზრუნეთ ახლო ნათესავებზე. თუ შესაძლებლობა მოგეცემათ, მათ მატერიალურად დაეხმარეთ. **ლომი** – არავინ მოატყუოთ. პირობა შეასრულეთ. კარგი დღეა შემოქმედითი თვალსაზრისით. **ქალწული** – გრანდიოზულ მიზნებს ნუ დაისახავთ. უმჯობესია, დარჩენილი საქმეები დაამთავროთ. **სასწორი** – პასიური დღეა. უპრინციპობა და სიზარმაცე თქვენს საქმიანობაზე ნეგატიურად აისახება. **ღრიანკალი** – ქრონიკულ დაავადებებს ნებაზე ნუ მიუშვებთ. დროულად იმკურნალეთ. გათავისუფლდით ყოველგვარი წყენისაგან. **მშვილდოსანი** – დაისვენეთ აქტიურად. ასევე კარგი იქნება შემოქმედებით სფეროში საქმიანობა. **თხის რქა** – ბიზნესში გიმართლებთ. პარტნიორებთან შეხვედრა თქვენ სასარგებლოდ დამთავრდება. **მერწყული** – გარემოს შეცვლა, მოგზაურობა ნერვებს დაგიმშვიდებთ. მოგიხდებათ ასევე სპორტი, ცურვა, ფიტნესი. **თევზები** – რეალობის აღქმას ნუ დაკარგავთ. სიტუაცია ადეკვატურად შეაფასეთ და გადაწყვეტილებები მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. უმაღლესი მწვერვალი კავკასიონზე; 2. პირველი კოსმონავტი; 3. სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურე პირი; 4. მიწის ფართობის საზომი ერთეული ძველად საქართველოში; 5. ღვინის მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 8. აეროპორტი მადრიდში; 12. ტანსაცმლის მწარმოებელი ესპანური ფირმა; 13. კამათი მეცნიერულ, ლიტერატურულ ან პოლიტიკური საკითხების განხილვისას; 14. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი; 16. „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟი; 18. უნგრელი კომპოზიტორი; 20. მარადმწვანე, ტროპიკული ხვიარა, მცოცავი მცენარე.

**თარაზულად:** 6. უბანი ქუთაისში; 7. სამეცნიერო ხარისხის მინიჭება; 8. ფრანგი ბალეტმაისტერი; 9. მოძრავი სცენა თეატრში; 10. სამონასტრო კომპლექსი თეთრი წყაროს რაიონში; 11. საფრანგეთის ნაკრებისა და მადრიდის „ატლეტიკოს" ფეხბურთელი; 15. დამწყები, სტაჟიორი, პრაქტიკანტი ადვოკატი ბრიტანეთში; 17. კურორტ იალტას ძველი სახელწოდება; 19. ფირმა „როლექსი"-ს დამფუძნებელი; 21. მუსლიმანური რელიგიური დოგმების ფანატიკოსი მიმდევარი; 22. ძველებური, სამგზავრო ჩანთა; 23. სამყარო, როგორც მთლიანობა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. სალათი; 2. იყალთო; 3. კასტილია; 4. ჩხოუში; 6. „ზედაზენი"; 8. „ანზორი"; 11. ხოდაბუნი; 12. ჰეროინი; 16. „ჰერში"; 17. მყესი; 18. ხირსა.

**თარაზულად**: 1. სპრინტი; 5. დიეზი; 7. კალმახი; 9. აფალინა; 10. წუმწუმა; 13. რევიზია; 14. ბორანი; 15. კები; 19. ჰონვედი; 20. წყალტუბო; 21. შიომღვიმე; 22. სინემა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. პროფანი; 2. მარადონა; 3. ტიროლი; 4. სუფსა; 5. პარფორსი; 8. გენოციდი; 12. დაბა; 13. ეკოლოგია; 14. სვინგი; 16. „ბაგიათი"; 18. ზურნა; 20. გემა.

**თარაზულად**: 6. პრელუდია; 7. „უტინოურა"; 8. გულანი; 9. „დაფნე"; 10. კომბაინი; 11. უორდროპი; 15. აკრედიტივი; 17. საჰარა; 19. განგსტერი; 21. აგუძერა; 22. სატურაცია; 23. ყარსალი.

# ქალაქის ისტორიული ადგილები უმძიმეს მდგომარეობაშია



სცენარისტი აკა სინჯიკაშვილი ქალაქის ცენტრალურ უბნებში მდებარე ისტორიული ადგილების მოუწესრიგებლობაზე ავრცელებს ინფორმაციას. ამჯერად აკამ პუშკინის ქუჩაზე მდებარე ძველი თბილისის ნანგრევებთან არსებული გაუსაძლისი მდგომარეობა გააპროტესტა:

– ეს ადგილი, რა თქმა უნდა, ყველამ ვიცით, სპეციალურად არის ასე დატოვებული, ქალაქის იერსახის გასალამაზებლად.

ღამით, ამ ადგილის გავლისას რომ გადარჩე, უნდა აერიდო ოცამდე მთვრალს, გადააბიჯო ამდენივე წყვილს, უნდა ძლებდე ორ წუთზე მეტხანს სუნთქვაშეკრული, უნდა იყო სიგრძეში ხტომაში ოლიმპიური ჩემპიონი, ბოლოს ყველაზე ჯანიანი მთვრალი დაამარცხო და ყველაზე კარგ შემთხვევაში კისრამდე კანალიზაციის ნარჩენებში მაინც უნდა ამოისვარო.

იქნებ მერიაში ვინმე დაინტერესდეს, განათებები დააყენოს და გამოჩნდეს, რას ვუშვრებით ღამით ჩვენც და სტუმრებიც ქალაქის ისტორიას.

ქალაქის მიხედვას სამსახურიც რომ გავალდებულებთ, თვითონ უნდა ეძებდეთ ასეთ ადგილებს და გამოასწოროთ მდგომარეობა.

და, საერთოდაც, იქნებ როდისმე ჯარიმის გარეშე მივხვდეთ, რომელია ურნა, რომელი ტუალეტი და რომელი ქუჩა და ქალაქი.

# ზაზა კოლელიშვილი პაპა გახდა



მსახიობი და რეჟისორი ზაზა კოლელიშვილი პაპა გახდა. მის შვილს, ცნობილ მორაგბეს ვიტო კოლელიშვილს პირველი შვილი – ბიჭი შეეძინა.

პატარა საფრანგეთში დაიბადა, რადგან ვიტო რაგბის ამჟამად საფრანგეთში თამაშობს და მეუღლესთან, ლალიკო მოსიასთან ერთად იქ ცხოვრობს.

– ვიტო და ლალიკო გილოცავთ ვაჟკაცის მოვლინებას, იხარეთ ამ წუთისოფელში, პაპა ზაზა კოლელიშვილი, – ასე მიულოცა შვილს და რძალს პირველი შვილიშვილის დაბადება საქართველოდან ზაზა კოლელიშვილმა.

პაპასთან ერთად, ახალბედა მშობლები და მათი პატარა მეგობრებისგან, ნაცნობებისგან თუ უცნობებისგან უამრავ მილოცვას და საუკეთესო სურვილებს იღებენ.

# დავით დეფის პოეზიას საღმრთო ლიტურღიისას გამოიყენებენ



პოეტისა და რომანისტის დავით დეფის პოეზიას საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის მშვიდობის კათედრალში, საღმრთო ლიტურღიისას გამოიყენებენ.

ინფორმაცია ამის შესახებ პოეტმა თავად გაავრცელა:

– ჩემს ცხოვრებაში დიდი რამ მოხდა, წიგნი „სააღდგომო ლექსები“, სადაც უშუალოდ სახარებისეული ეპიზოდები მაქვს აღწერილი და ნაწილი პოემისა „მეფე პოეტი“, სადაც ტექსტი ასევე სახარებისეული იდეებითაა შექმნილი, ქრისტიანული ეკლესიის, კერძოდ კი, საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის მშვიდობის კათედრალში, საღმრთო ლიტურღიისას სასულიერო პირის მიერ, მრევლის წინაშე იქნება წაკითხული.

საღმრთო ლიტურღია – იგივე ჟამნის წირვა, მოგეხსენებათ საზოგადო ღვთისმსახურებას ნიშნავს, რომლის დროსაც წმინდა ზიარების საიდუმლო, ევქარისტია, სამადლობელი სრულდება, ზუსტად ამ დროს იქნება წაკითხული ჩემი პოეზია.

# გიორგი ჭეიშვილმა გადაცემაში „ცოდნა ფულია“ 26.100 ლარი მოიგო



პროექტში „ცოდნა ფულია“ მორიგი გამარჯვება დაფიქსირდა. მოთამაშე გიორგი ჭეიშვილმა ყველა ეტაპი წარმატებით გაიარა, გადამწყვეტ კითხვასაც სწორად უპასუხა და 26.100 ლარი მოიგო.

# რომან გოცირიძე: „გალაქტიონის ლექსები, რომლებიც ნასვამ მდგომარეობაში შეიძლება იყოს დაწერილი, ამოიღონ სახელმძღვანელოებიდან“



გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედება არაერთხელ ყოფილა განსჯის საგანი, თუმცა პოლიტიკოსმა რომან გოცირიძემ მოითხოვა, რომ: „გალაქტიონის ლექსები, რომლებიც ნასვამ მდგომარეობაში შეიძლება იყოს დაწერილი, ამოიღონ სახელმძღვანელოებიდან.“

**რომან გოცირიძე:**

– მონტევიდეო ურუგვაის დედაქალაქია. შეუძლებელია ქალაქს ხელთათმანი ეკეთოს, თანაც ვიწრო.

სრულიად ვეთანხმები განათლების მინისტრის, ალექსანდრე ჯეჯელავას განცხადებას იმის თაობაზე, რომ გალაქტიონის ის ლექსები, რომლებიც შეიცავენ უზუსტობებს და რომლებიც ნასვამ მდგომარეობაში შეიძლება იყოს დაწერილი, უნდა ამოიღონ სასწავლო სახელმძღვანელოებიდან.

„ლაჟვარდების კიდეო,
დაბურულო ზმანებით,
ლურჯო მონტევიდეო,
ვიწრო ხელთათმანებით“.

მართლაც, იისფერი თოვლივითაა!

# ნინო ცქიტიშვილს მოდელის დაბლოკვა დაავალეს



სამოდელო სააგენტო ლუქ მოდელსის დამაარსებელსა და ხელმძღვანელს ნინო ცქიტიშვილს ერთ-ერთი მოდელის დაბლოკვა დაავალეს.

ინფორმაცია ამის შესახებ ნინო ცქიტიშვილმა თავად გაავრცელა:

– ძალიან საინტერესო ამბავი გადამხდა და მინდა გაგიზიაროთ. თან ამ ყველაფერზე ძალიან მეცინება, იმიტომ, რომ აქამდე რუსები ერუდირებული და ცივილური ხალხი მეგონა. მოკლედ, მოდის „ტიპი“ XXI საუკუნეში, რომელიც სპეციალურად მოსკოვიდან ჩამოფრინდა და მთავაზობს, რომ ჩვენი ერთ-ერთი რუსი ტოპ მოდელი, რომელიც თურმე მისი „ნაჩალნიკის“ შეყვარებული ყოფილა, ამ გოგოსთან შეთანხმების გარეშე, რომელიც დღედღეზე ლოს ანჯელესში მიფრინავს, მოვხსნა ყველანაირი საერთაშორისო გადაღებებიდან და აღარ გავუფორმო კონტრაქტები სხვადასხვა უცხოურ სააგენტოებთან, რადგან უკვე 6 თვეა მისმა „ნაჩალნიკმა“ ბედი გადაუწყვიტა. ყველაზე მთავარი ამ ამბავში ის არის, რომ „ტიპი“ გაოგნებული დარჩა იმით, რატომ არ შეიძლებოდა ჩვენი მოსყიდვა, როცა, თურმე მოსკოვში ეს მიღებული ყოფილა. ვინც მიცნობს, ალბათ მიხვდება, ჩემგან რა პასუხსაც მიიღებდა და რა მდგომარეობაში გავუშვებდი სააგენტოდან. ახლა თქვენ მითხარით, ამას რა დავარქვა?

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## სპორტი

# ლუკა იმნაძე: „ამხანაგური მატჩები შეცდომებს გვანახებს“



21-წლამდელთა გუნდი 8 ივნისს ბულგარეთს ესტუმრება, ხოლო 12 ივნისს – მონტენეგროს. გია გეგუჩაძის გუნდს მატჩი თბილისშიც აქვთ დაგეგმილი – 5 სექტემბერს სერბეთს უმასპინძლებს.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები სექტემბერში ევრო 2019-ის შესარჩევ ციკლს იწყებს და მოსამზადებელი ეტაპის ფარგლებში 22 და 25 მარტს თბილისში ისლანდიას უმასპინძლა (3:1 და 4:4).

ამ მატჩებში გოლით გამოირჩა 20 წლის ფეხბურთელი ლუკა იმნაძე, რომელიც შეაქო გეგუჩაძემ, მაგრამ ისიც აღნიშნა, რომ სამუშაო ბლომად აქვს.

ისლანდიელების წინააღმდეგ იმნაძემ პირველი სანაკრებო გოლიც გაიტანა და თავისიანების წარმატებაში მოკრძალებული წვლილი შეიტანა.

**ლუკა იმნაძე:**

– 2 მატჩი ჩავატარეთ ისლანდიასთან, საერთო ჯამში, ნაყოფიერი სპარინგ-მატჩები გამოდგა. მოწინააღმდეგე არ იყო ხელწამოსაკრავი, მათი სიძლიერე განსაკუთრებით მეორე მატჩში გამოჩნდა. პირველ შეხვედრაში გაგვიჭირდა წარმატების მიღწევა, თუმცა მეორე მატჩში მუდამ მდევრის როლში ვიყავით. კარგია, რომ ბოლომდე ვიბრძოლეთ და შრომა დაგვიფასდა. ეს თამაშები მოსამზადებელი ეტაპია მომავალში გასამართი ოფიციალური შეხვედრების. შეცდომები გვქონდა, მაგრამ ასეთი მატჩები სწორედ იმისთვისაა, რომ პრობლემები აღმოიფხვრას.

***– მეორე მატჩში იყო მომენტი, როდესაც საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები 2:4 მარცხდებოდა. იმ მატჩში თქვენ ცვლილებაზე შეხვედით – რა დავალება მოგცათ გეგუჩაძემ?***

– 61-ე წუთიდან თამაშში ერთდროულად 4 ფეხბურთელი ჩავერთეთ. მთავარმა მწვრთნელმა მეტი აქტიურობისკენ მოგვიწოდა და თამაში უნდა გადაგვერჩინა. საბოლოოდ ისე მოხდა, რომ ჯერ შევამცირეთ ანგარიშში სხვაობა, შემდეგ კი გავათანაბრეთ.

***– გატანილ გოლს როგორ გაიხსენებთ? თან პირველი სანაკრებო გოლი გამოდგა.***

– ნაკრებში სადებიუტო გოლი გამოვიდა, რითაც ძალიან გახარებული ვარ. მეკარესთან პირისპირ გავედი და შემდეგ გატანა არ გამჭირვებია. ნაკრებში თამაში ძალიან დიდი პატივი და გამოწვევაა. ვეცდები, ყოველთვის მწვრთნელების იმედების გამართლებას, ამისთვის მაქსიმუმს გავაკეთებ. სამწვრთნელო შტაბისგან მხარდაჭერას ვგრძნობ, ახლა კი ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული.

***– საბურთალოში ახალი გადასული ხართ. როგორ აღმოჩნდით თბილისურ კლუბში?***

– წარმოშობით ლანჩხუთელი ვარ, გურიაში ვთამაშობდი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემი ყოფილი გუნდი უძლიერესთა რიგებს გასულ წელს დაემშვიდობა. ვგეგმავდი, კარიერის გურიაში გაგრძელებასა და ეროვნულ ლიგა 1-ში თამაშს, მაგრამ საბურთალოს წარმომადგენლები დამიკავშირდნენ და დედაქალაქურ კლუბში თამაში შემომთავაზეს. ძალიან გამეხარდა, რომ მაღალ დონეზე ასპარეზობის შესაძლებლობა მომეცა და დავთანხმდი წინადადებას.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

დრომ ულმობელმა კიდევ ერთი გვერდი გადაფურცლა მატიანესი... მწუხარება ვერ გაგვინელებია და საქართველოს დერმატო-ვენეროლოგთა საზოგადოებას ასოციაციის დამფუძნებელი, გამგეობის წევრი, დამსახურებული ექიმი, დერმატოვენეროლოგი



## გრიგოლ (კაკო) გრიგოლის ძე კირთაძე

გამოგვაცალა ხელიდან.

მძიმე დღეებია შენი მშვენიერი ოჯახისთვის... მტკივნეულია ჩვენი შეხმატკბილებული სამსახურისთვის... ჩვენ ხომ ყველანი გარემოცული ვიყავით შენი სიკეთით, გულწრფელობით...

ახლა კი...

ტკბილ მოგონებად გვრჩება ყოველდღიური სამეცნიერო-პრაქტიკული თუ პროფესიული, ყურადღებიანი, მეგობრული ურთიერთობა ჩვენდამი...

უზომოდ გვიყვარდი...

წახვედი და მიგყვება კოლეგების, მეგობრების, მადლიერ პაციენტთა, ნათესავთა სიყვარული... შენ ხომ ყველას მიმართ კაიკაცობის, ერთგულების, სიკეთის მაგალითი დაგვიტოვე...

ჩვენო გრიგოლ (კაკო)!

უფლის რჩეულთა გზაზე მიგაცილებთ მონატრებით, სინანულით, ცრემლით...

**შპს კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ეროვნული ცენტრი**
**საქართველოს დერმატო-ვენეროლოგთა ასოციაცია**

---

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრა (გამგე პროფ. ირაკლი კოვზანაძე) თანაუგრძნობს ამავე ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ თეიმურაზ ბერიძეს მამის

## არჩილ ბერიძის

გარდაცვალების გამო.

**მიხეილ ჩიკვილაძე**

---

შპს საერთაშორისო აკადემია „გუმა-მერიდიანის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლია და ბუთხუზ კეკელიებს დედის

## ოლია ხაჭომია-კეკელიას

გარდაცვალების გამო.

---

შპს საერთაშორისო აკადემია „გუმა-მერიდიანის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ ჯემალ ხარებავას სიდედრის, ლაშა და ხატია ხარებავებს ბებიის

## ოლია ხაჭომია-კეკელიას

გარდაცვალების გამო.

**დაკრძალვა:** შაბათს, 8 აპრილს, 14 საათზე.

**მისამართი:** მარტვილის რაიონი, სოფელი ბანძა.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# პროგრამა

**ხუთშაბათი 6 აპრილი**

**07.00** დოკ/ფ "ჯეიმის საკვების ძიება" **08.00** კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **15.00, 02.30** "C სტუდია" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00, 03.30** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**ველვეტი**" **22.00** "ინტერვიუ სალომე ასათიანთან" **22.30** "ვექტორი" **23.00** "უცნობი მუსიკა" **00.30** მხ/ფ "**უგზოუკვლოდ დაკარგული**" (ჯ.ლემონი)

**08.00** დ/ფ "ლურჯი დუნაი და გარეული ცხენები" **09.00** დ/ფ "როცა მეცნიერება სანაპიროს იკვლევს" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** დ/ფ "ფუტკრების გაუჩინარების საიდუმლო" **12.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "პირველი ეთიოპელი ქრისტიანი ბერების კვალდაკვალ" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "სიგარეტის გადაგდება" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00** ტ/სერ. "**ჩიკაგოს პოლიცია** " **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო" **01.00** მხ/ფ "**ჯო ტაინანის ცდუნება**" (მ.სტრიპი)

**05.50, 14.40** სერ. "**ელიფი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.15** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** დღის შოუ **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.40** გალფის გათამაშება **18.50, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **23.30** გრიფით საიდუმლო **00.00** მხ/ფ "**პირველყოფილი შიში**" **02.30** მხ/ფ "**კარგი ადამიანები**" **04.00** მხ/ფ "**ბრალდებულები**"

**06.00, 19.00, 20.03** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **06.45** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ყველაზე ლამაზი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **20.10** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **22.00** განსხვავებული აქცენტები **23.30** მხ/ფ

**08.00** ან/სერ. "პუკა" **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **11.00** სერ. "**მშობლები**" **13.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **15.00** სერ. "**სასტუმრო**" **17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **21.00** სერ. "**გომორა**" **22.30** მხ/ფ "**ნუ ეხუმრებით ზოჰანს**" **00.45** მხ/ფ "**მის კონგენიალობა**" **02.45** მხ/ფ "**მის კონგენიალობა 2**"

**06.15** სჯანი-საღვთო მადლისა და ადამიანის თავისუფალი ნების ურთიერთმიმართება **06.40** პატერიკი **06.45** დ/ფ "რუსთაველის ნაკვალევზე" **07.25** ქართული ალბომი **07.50** სამყაროს შექმნა **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10** დ/ფ "გზა მაცხოვრისა" **10.50** საღვთისმეტყველო საუბრები **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**დიმიტრი** II" I **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.00** დეკორატიული ფლორა "შრომატე სანგუანა ტრიქოლოგი" **15.05** კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა-"ბზობა" **15.20** ქართული ან/ფ **15.30** კონცერტი **16.45** ქრისტიანული ხელოვნება "ბოჭორმის წმინდა გიორგის ეკლესია" **17.35** ჩვენი ფონდი **17.55** შვიდგზის ლოცვა **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.20** დ/ფ "ფშავ-ხევსურეთი" II **19.40** პორტრეტები "ნინო სურგულაძე" I **20.40** ძილი ნებისა "ნახევარქათამა" **20.55** შვიდგზის ლოცვა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** შარავანდედი- "ელენე ახვლედიანი, იოსებ გრიშაშვილი" **21.30** დიდ ხარ შენ უფალო..."ისუ ნავე-მზე გაბაონის თავზე" II **22.20** ჩვენი საგანძური **22.35** ივერიის ეკლესია **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.40** ღვთის სახლი "განთიადი და ბზიფი" **00.30** საუფლონი "ხარება-გიხაროდენ, ქალწულო და დედაო..." **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (სურდო გახმოვანებით) **8.00, 13.30, 15.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება** **10.00** სერ. "**სიყვარულის იმპერია** **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00, 18.50, 20.55** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.50** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.50** თოქ-შოუ "ცეცხლის ხაზი" **22.50** სერ. "**ესკობარი**" **1.00** "კონტაქტი" **1.30** სერ. "**ქალბატონი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

6 აპრილისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.4220 |
| ევრო | — 2.5765 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 3.0149 |
| 100 რუსული რუბლი | — 4.2933 |

## ამინდის პროგნოზი 6 აპრილისთვის





## 31 მარტიდან

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

მაგარი ყდა
151 გვერდი

ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი




## 5 აპრილიდან




მარტორქები ბლინებს არ ჭამენ

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

## 6 აპრილიდან

საბავშვო ბიბლია




ფასი გაზეთთან ერთად 24 ლარი


## იუმორი



კაცი მღვდელთან მივა და ეუბნება:
– მამაო, ზეთი მაცხე.
– შვილო ჩემო, ეკლესიაში დადიხარ?
– არა, მამაო, ვერ დავდივარ.
– კარგი, შვილო ჩემო, თუ ლოცულობ?
– არა, მამაო, ვერ ვლოცულობ.
– აბა, ზეთის ცხება რად გინდა, ჭრაჭუნობ?

●●●

შვილი ჭიაყელა მამას ეკითხება:
– მამი, ბალში ცხოვრება კარგია?
– კი, შვილო.
– ვაშლში?
– ვაშლშიც კარგია.
– და ატამში?
– ჰო, იქაც კარგია ცხოვრება.
– იქ თუ კარგია ცხოვრება, მაშინ ჩვენ ნეხვში რატომ ვცხოვრობთ?
– ეეჰ, შვილო, სამშობლოს არ ირჩევენ!!!

●●●

შვილი დედას ეკითხება:
– დედიკო, მე რომ სულ მეუბნები, სხვისი არაფერი აიღოო, მამა რატომ იპარავს სამსახურიდან რაღაც-რაღაცებს?
– იმიტომ შვილო, რომ მამა უკვე დიდია.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:
– გაიგე, ჩვენი დეპუტატები სიკვდილით დასჯის აღდგენას მოითხოვენ.
– რა, განა სიკვდილით დასჯა გაუქმებულია?
– ???
– განა ჩვენთან პენსია სასიკვდილო განაჩენი არაა?..

●●●

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:
– ოჰ, როგორი მუცელია! ბიჭია, თუ გოგო?
– ოლივიე!

●●●

ბიჭი გოგოს ეუბნება:
– მე შენ მიყვარხარ!
– და შენ მიმტკიცებდი, რომ არ ვსვამო...

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:
– რაზე ელაქლაქებოდი ჩვენ მეზობელ ქალბატონს?
– ისეთ არაფერზე, ამინდზე.
– მომისმინე სინოპტიკოსო! თუ კიდევ მასთან მოლაქლაქეს დაგინახავ, ყოველგვარი წინასწარი შეტყობინების გარეშე ქარიშხალში აღმოჩნდები!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.




## კრეიგ შექსპირმა პრემიერ ლიგაში ზედიზედ მე-5 შეხვედრა მოიგო



ლესტერის მწვრთნელმა კრეიგ შექსპირმა ერთგვარი რეკორდი დაამყარა, რადგან მან თავის გუნდთან ერთად პრემიერ ლიგაში სადებიუტო 5 შეხვედრიდან ხუთივე მოიგო, რაც აქამდე მხოლოდ რამდენიმე მწვრთნელმა შეძლო ინგლისში.

შექსპირის შეგირდებმა სამშაბათს საკუთარ მოედანზე სანდერლენდი დაამარცხეს და ლესტერს გავარდნა უკვე აღარ ემუქრება.

სადებიუტო 5 მატჩი აქამდე მხოლოდ ჟოზე მოურინიოს, კარლო ანჩელოტის და ხოსეპ გვარდიოლას ჰქონდათ მოგებული პრემიერ ლიგაში და კრეიგ შექსპირი მათ რიცხვს შეუერთდა.

შექსპირი ლესტერის მწვრთნელი თებერვლის ბოლოს გახდა, როდესაც კლაუდიო რანიერი გაათავისუფლეს. მისი მოსვლის შემდეგ ლესტერი შესანიშნავ ფეხბურთს აჩვენებს და გუნდი პრემიერ ლიგაში უკვე მე-10 ადგილზეა.

## პსჟ-ს ალექსის სანჩესის ყიდვა სურს



ფრანგული პსჟ ზაფხულში გაძლიერებას გეგმავს და პარიზელებს განსაკუთრებით ფორვარდის შეძენა სურთ, მიუხედავად იმისა, რომ ედისონ კავანი წელს ძალიან კარგ ფორმაშია.

პსჟ-მ თვალი არსენალის ფორვარდ ალექსის სანჩესს დაადგა, რომელიც არ მალავს, რომ არსენალიდან წასვლა სურს.

სანჩესის თქმით, მას ისეთ გუნდში უნდა თამაში, რომელიც მუდმივად ტიტულებს მოიგებს. პსჟ ამ კრიტერიუმს ნამდვილად აკმაყოფილებს, რადგან ბოლო 4 წლის მანძილზე ეს გუნდი საფრანგეთის ჩემპიონია.

სანჩესის ტრანსფერი პსჟ-ს, სავარაუდოდ, 50 მილიონი ევრო დაუჯდება.

## რაფინია ორ კვირას გამოტოვებს



ბარსელონას ბრაზილიელი ნახევარმცველი რაფინია დაახლოებით 15 დღის შემდეგ დაბრუნდება მოედანზე. რაფინიამ ტრავმა გრანადასთან შეხვედრაში მიიღო და ის უკვე 22-ე წუთზე პაკო ალკასერმა შეცვალა.

ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა, თუმცა ბრაზილიელ ფეხბურთელს მაინც მოუწევს 2 კვირა დასვენება, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის ორივე შეხვედრას გამოტოვებს ტურინის იუვენტუსთან.

რაფინია წლევანდელ სეზონში საკმაოდ ხშირად გამოდის მოედანზე, თუმცა ძირითადი შემადგენლობის მყარი ფეხბურთელი არ არის.

რაფინიას ძმა ტიაგო ალკანტარა წლების მანძილზე ასევე ბარსელონაში თამაშობდა, ახლა კი მიუნხენის ბაიერნის ღირსებას იცავს.

## იგუაინი: „მეწყინა, ნაპოლის ქომაგებმა რომ მაგინეს“



ნაპოლის ყოფილმა ფეხბურთელმა გონსალო იგუაინმა, რომელიც ამჟამად იუვენტუსის ღირსებას იცავს, ნაპოლისთან შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ მას გული დაწყდა ნაპოლის ფანების უხეში რეპლიკების გამო.

– ნაპოლისთვის ბევრი რამ გავაკეთე, მაგრამ ეს უკვე აღარავის ახსოვს. გული მწყდება, რომ ამ გუნდის გულშემატკივრებს ჩემთვის მხოლოდ შეურაცხმყოფელი ფრაზები და რეპლიკები ემეტებათ. ფეხბურთის კარიერა ხანმოკლეა და ამ მოკლე დროში მაქსიმუმს უნდა მიაღწიო. იუვენტუსში გადასვლას არ ვნანობ, – განაცხადა გონსალო იგუაინმა.

ნაპოლის და იუვენტუსის შეხვედრა ფრედ 1:1 დასრულდა, ხოლო ნაპოლის გულშემატკივრები კი იგუაინს მთელი მატჩის განმავლობაში უსტვენდნენ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## არაყმა კატა გადაარჩინა



ლონდონელ ვეტერინარებს არაყი დაეხმარა კატის გადარჩენაში, რომელიც სამუხრუჭე სითხისგან მოიწამლა.

შვიდი წლის შინაური კატა, სახელად პრინცესა, შემთხვევით დაღვრილ სამუხრუჭე სითხეში ამოიგანგლა. მან სხეულის გასაწმენდად ბეწვის ალოკვა დაიწყო და ამის შედეგად მომწამვლელი ნივთიერება მის ორგანიზმში აღმოჩნდა. კატა პატრონმა უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი ნახა.

როდესაც ცხოველი ვეტერინარულ საავადმყოფოში მიიყვანეს, ექიმებმა ის დაუყოვნებლივ გააგზავნეს უახლოეს მაღაზიაში მაღალი გრადუსის მქონე არყის მოსატანად, შემდეგ კი კატას ალკოჰოლის წვეთოვანი დაუყენეს. ეთილის სპირტმა სამუხრუჭე სითხეში შემავალი ეთილენგლიკოლი გაანეიტრალა. რამდენიმე დღეში კატა გამომჯობინდა და ის პატრონს სახლში გაატანეს.

– ვეტერინარებმა ამიხსნეს, რაც ხდებოდა, მკურნალობა უჩვეულო იყო, მაგრამ მე უბრალოდ მსურდა, რომ პრინცესა გადარჩენილიყო, – განაცხადა კატის პატრონმა.

## ავსტრალიაში ნიანგმა შინაური ძაღლი დაიჭირა და შეჭამა



ავსტრალიელმა პოლიტიკოსმა შეინ კნუტმა ხელისუფლებას ნიანგების რაოდენობის შემცირებისკენ მას შემდეგ მოუწოდა, როდესაც კვისლენდის შტატში მტაცებელმა დაიჭირა და შეჭამა შინაური ძაღლი.

კნუტი ამტკიცებს, რომ ინციდენტი ორი დღის წინ ქალაქ ინისფეილის მახლობლად მოხდა. ნიანგი თავს დაესხა ავსტრალიური კელპის ჯიშის ძაღლს, სახელად რასტის, რომელიც თავისი პატრონის სახლის მახლობლად სეირნობდა. საკუთარი სიტყვების დასადასტურებლად, პოლიტიკოსმა წარმოადგინა რეპტილიის ფოტოსურათი, რომლის პირიდან ძაღლის ფეხია გამოჩრილი.

კნუტის თქმით, წვიმების და მისგან გამოწვეული წყალდიდობის გამო, ამგვარი თავდასხმები შესაძლოა უფრო გახშირდეს.

– ხალხი კვისლენდში მიემგზავრება, რათა პლაჟებზე მზეს მიეფიცხონ, ამ დროს კი ყოველ კუთხეში ნიანგების თავდასხმას და გამაფრთხილებელ წარწერებს ხედავენ, – განაცხადა ავსტრალიელმა პოლიტიკოსმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სისხლის თხევადი ნაწილი; 2. თამაზ მელიავას კინოკომედია; 3. პოპულარული პარკი თბილისში; 4. ძალზე მტკიცე მინერალი, ძვირფასი ქვა; 6. იტალიელი კომპოზიტორი, მრავალი კინოფილმის მუსიკის ავტორი; 8. ცხარე საწებელი; 11. მცენარეთა შემსწავლელი მეცნიერება; 12. ტრაგედია „იოდიპოს მეფის“ პერსონაჟი; 16. „ღვთაებრივი კომედიას“ ავტორი; 17. ვერცხლით დაფარული დანა-ჩანგალი; 18. მათემატიკის, ჯამის აღმნიშვნელი ბერძნული ასო.

**თარაზულად:** 1. ლიტერატურული ნაწარმოების შესავალი ნაწილი; 5. სოხუმის ძველი სახელწოდება; 7. გაუტანელი, ვერაგი, მოღალატე ადამიანი; 9. ქალაქი სამეგრელოში; 10. თავადაზნაურთა წინამძღოლი ძველად საქართველოში; 13. სისხლის აღების ადათი სიცილიასა და კორსიკაში; 14. ფრანგი მოქანდაკე; 15. ავი სული, დემონი არაბულ ფოლკლორში; 19. რამდენიმე ელექტროსადგური ერთ მდინარეზე; 20. ჯეიმს ბონდის როლის შემსრულებელი ბრიტანელი მსახიობი მამაკაცი; 21. ჰოლანდიური ლუდი; 22. მთა თბილისში.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**





ლურჯი წითელი ყვითელი შავი